ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ბრძოლის ხმა

1936 წ. იანვარი
პარიზი

№ 58

1936 — JANVIER
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა

«L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ორი საზომი

ამას ჩვენ საკმაოთ მივეჩვიეთ; თანამედროვე პოლიტიკამ მეტ ბარგათ აღიარა პრინციპი, მორალი, სიმართლე და მათ ალაგას წამოაყენა ეგოიზმი, გამოსარჩენი, შენ-ჩემობა, ჩემი ჩემია—შენიც ჩემია და სხვა ამფეროვანი და ამ ხაზის საერთაშორისო ზნეობა. ამის საქვეყნო მაგალითი გადაშლილია. აბისინიას თავს დაეცა დიდი სახელმწიფო, ეს უდაო ამბავია, მძლავრის მიერ სუსტის დაჩაგვრა დასაგმობია. აქ ფაქტი და პრინციპი ვითომ შედუღებულია. დიდი სახელმწიფოები ახმაურდენ, აბისინიას იცავენ, რატომ! პრინციპიალურათ? სრულიადაც არა, სიმართლის საზომს ამ დავაში არავითარი ადგილი არ უკავია; ეს სამკაული აქაც მეტი ბარგია, გულუბრყვილოთა გასასულელებელია. აბა რას იტყოდით—ერთი ყაჩაღი თავისუფლად დადიოდეს, მეორეს კი იჭერდენ. ისინი ხომ ორივე ერთნაირათ დასაჭერია? ეს ასეც არის კერძო უფლებაში; მაგრამ პოლიტიკაში ასე არ ხდება; მოსკოვი ყველაზე უფრო მაღლა გაყვირის დაიჭით თავს დამსხმელიო, და არავის თავში არ მოდის—შეეკითხოს ამ გმირს, ხელი გაუშვი შენს ნაძარცვსო. ყველა თავის სარგებლობაზე ფიქრობს; ინგლისისათვის მიუღებელია იტალიის შუაგულ აფრიკაში ჩამოთესლება, საფრანგეთისათვის მიუღებელია ინგლისის მომდურება, ვაი თუ არც მე დამიჭიროს მხარიო და სხვა. აბისინიას, სუსტის დაცვას თავისთავათ არავინ დაგიდევს. ის მისაღებია თუ გამორჩენის წყაროა, მიუღებელია თუ სიმართლის წყაროა. ორი საზომი სახელმწიფოს საგარეო დოქტრინაა.

მაგრამ რაც ახალია, რაც გასაკვირალი და მოულოდნელია ის, რომ ეს დოქტრინა გადაიქცა სახელმძღვანელოთ საშინაო პოლიტიკაშიაც, ხალხთა შინაური წყობილების საზომათ; აქაც იგივე ეგოიზმია წამოყენებული, რა მომიხდება, რას ვიშოვი; თუ შენი მონობა ჩემთვის სასარგებლოა—იყავი მონობაში; მონობა თავის თავათ, პრინციპიალურათ, დასაგმობი არ არის. დააკვირდით, რა ხდება დღეს საფრანგეთში, ამ «ადამიანის უფლებათა» სამშობლოში. იდება ფრანგ-საბჭოთა პაქტი, ერთიმეორის დახმარება საგარეო გართულებაში. ამ აქტის დაფასებაში ჩვენ აქ არ შევდივართ; გაიცინებს ის, ვინც ბოლოს გაიცინებს. მაგრამ ამ მწარე აბის ტკბილათ გადასაყლაპავათ ითხზება ახალი მსოფლმხედველობა. აჯერებენ საფრანგეთის ხალხს საბჭოთა რეჟიმის სიკეთეში, ბოლშევიზმის დიად საცივილიზაციო მისიაში, საბჭოთა კავშირის აყვავებაში—ერთი სიტყვით ერევიან ჩვენ შინაურ საქმეებში უდიერათ, უხეშათ, ერევიან არა ჩაგრულთა, არამედ მჩაგვრელთა დასაცავათ. ე. ი. თავზე გვახვევენ იმ რეჟიმს, რომლის სიმძიმის ქვეშ დრტვინავს 160 მილიონი ადამიანი, იტანჯებიან მრავალი ერი და ხალხი. და ეს ისე რომ ჩვენ, ჩაგრულთ და დევნილთ, არც კი გვეკითხებიან, ჩვენ აზრს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, ჩვენ ჩივილს და გაჭირებას სახეში არ იღებენ. ჩვენი ჩაგვრა თურმე მათთვის სასარგებლოა და ამიტომ ჩვენ ეს უნდა ავიტანოთ, იარაღი დავყაროთ და ბრძოლა შევწყვიტოთ. ამავე დროს საბჭოთა რეჟიმი მათთვის მიუღებელია; მათ ესაჭიროებათ უეჭველათ თავისუფლება, ხოლო ჩვენ უეჭველათ მონობა. მათთვის ადამიანის უფლება, ჩვენთვის ადამიანის უუფლებობა. ეს აღსაშფოთებელი ორი საზომი დღეს გაბატონებულია განსაკუთრებით საფრანგეთის მარცხენა სექტორში, სწორეთ იქ სადაც მისი ალაგი არ არის, სადაც დიდი რევოლიუციის დროშა უნდა ფრიალებდეს და ადამიანის და მოქალაქის უფლება იცვებოდეს. ამ დიდებული დოქტრინის შემთხზველნი არიან რადიკალები, რომელთაც თავის თავი მიაჩნიათ ენციკლოპედისტების მოწაფეებათ, რუსოს და მონტესკიოს ერთგულ მიმდევრებათ, ხოლო ახლა მოსკოვის ორღობეში გაიჩხირენ და მთელი ეს მემკვიდრეობა ჩეკისტებს ანაცვალეს. ისინი აცხადებენ თავის თავს მეგობრებათ არა რუსეთის, არა ხალხების, არამედ საბჭოების, რეჟიმის, ტირანიის, სტალინის თვითმპყრობელობის. ასეთი სკანდალი არასოდეს არ მოსვლია საფრანგეთის მოწინავე ბურჟუაზიას. ჩვენ ვიყავით მოწამე საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულობის მომზადების მეფის დროს, აველანის ჩამოსვლის აქ, ნიკოლოზ მეორის დარბაზობის, მაგრამ არ მოყოლია ამას არც ერთი მაგალითი რუსეთის თვითმპყრობელობის შექების, რეჟიმის დაცვის, შინაურ ურთიერთობაში მონარქიის დასაცავათ ჩარევის. ეს იყო პაქტი ორ სახელმწიფოს, ორ ქვეყანას და არა ორ რეჟიმს შორის. ახლა კი ყოველივე ეს თავდაყირაა დატრიალებული, რეჟიმის ადვოკატებია ამუშავებული და ეს დიდი რევოლიუციის «მემკვიდრენი» ჩვენ თავს გვახვევენ უსაშინელეს ტირანიას. თვითონ აქ ვიღაც კერძო პირის ლიგა ვერ მოუთმენიათ, ჩვენ თავისუფლებას ემუქრებაო, ხოლო ჩვენ თურმე უნდა ვითმინოთ არა უბრალო მუქარა, არამედ საშინელი ფაქტი—ყოველივე თავისუფლების მოსპობა და მთელი ხალხის უენო შინაყმათ გადაქცევა. ეს ორი საზომი ძირს უთხრის ყოველივე მორალს, პრინციპს, მთელ იმ კულტურულ განძს, რაიცა კაცობრიობამ წვით და დაგვით მოიპოვა. ეს არის ახალმოდის რასიზმი, გაცილებით უფრო დამანგრეველი და ხალხთა გამთიშავი, ვინემ ფაშისტური რასიზმი, რომლის შავი პირი ისედაც აშკარაა. ამას აქვს ერთი საზომი, ერთი ხაზი—მისი მოძღვრება გადააქციოს საყოველთაო წყობილებათ. აზრი და ლოღიკა აქ ნათელია. დავაა მხოლოდ მის შინაარსზე. ხოლო რადიკალების რასიზმი, მათი ორი საზომი, ეს—კარგი ჩემთვის, გლახა შენთვის, ეს მშრალი, უგულო ეგოიზმი საზოგადოების პოლიტიკურათ გამათახსირებელია, ერთა შუღლის და განხეთქილების მოციქულია.

ამ ფერხულში ბოლო დროს ჩაებენ სოციალისტებიც. მათ უცებ შეწყვიტეს საბჭოთა რეჟიმის კრიტიკა, ვერ ბედავენ ხმის ამოღებას იმ საშინელი დევნის და წამების წინააღმდეგაც კი, რის მსხვერპლი პირველ ყოვლისა მათივე ამხანაგებია. ვერ დაგმეს ისეთი სამარცხვინო მოვლენაც კი, როგორიცაა სტახანოვშჩინა, ეს ძველი ნაცნობი ტეილორიზმი, მუშათა ფიზიკურათ დამანგრეველი შრომის წესები. მის წინააღმდეგ მართალია ხმა ამოიღო ერთათ-ერთ დუმულენმა, მაგრამ ისიც «პოპულერ»-ის მეექვსე, საკამათო, გვერდზე, თითქოს პარტიას თავისი აზრი არ ქონდეს. რუსეთის პროლეტარიატმა ამ უდაო საკითხშიაც ვერ პოვა მფარველობა აქ პარტიაში. პირიქით ერთ-ერთ მიტინგზე პარტიის პროპაგანდის მეთაური ჟირომსკი აცხადებდა—ჩვენ ყველა საბჭოთა რეჟიმის გვარდიას წარმოვადგენთო. საბჭოთა იმპერიის სოციალისტები ებრძვიან ამ რეჟიმს, ხოლო მათი ერთმორწმუნე ფრანგები პირიქით მის მცველათ დგებიან! რატომ? მიზეზი იგივეა, კარგი ჩემთვის, გლახა შენთვის; მოსკოვი პირდება მათ დახმარებას საფრანგეთში თავისუფლების შესარჩენათ, სამაგიეროთ ისინი პირდებიან საბჭოებს დახმარებას რუსეთში მონობის შესარჩენათ. თუ მათ საბჭოთა წყობილება სანატრელათ მიაჩნიათ, მაშინ ისინი უნდა გახდენ კომუნისტები, შევიდენ კომინტერნის საბრძანებელში. რაკი ასე შორს არ მიდიან, რაკი თავის ქვეყნისათვის არ სურთ გლეხთა ექსპროპრიაცია, მუშათა უუფლებობა, მთელი ერის ბოგანოთ გადაქცევა, ჩეკის და ბიუროკრატიის ადამიანის და ნივთის ერთათ-ერთ ბრძანებელათ გამოცხადება, რატომ ყოველივე ეს ჩვენთვის სასურველათ მიაჩნიათ? რაკი სოციალისტური პარტია რჩება დამოუკიდებელი, თავისი დოქტრინით და ტაქტიკით, ცხადია ბოლშევიზმი და მისი წყობილება მათთვის მიუღებელია, ხოლო ჩვენთვის კი მისაღები ყოფილა. იგივე ორი საზომი რადიკალებივით; მათთვის მიუღებელი რეჟიმი—ჩვენთვის, ხოლო ჩვენთვის მისაღები თავისუფლება—მათთვის. არც ერთა თანასწორობა, არც პარტიული სოლიდარობა. ამ დაქანებულ ტალღას სხვა ქვეყნების სოციალისტური პარტიები დიდის ენერგიით ებრძვიან. ხოლო საფრანგეთში ყველა უდაოთ მიჩნეული პრინციპები ეწირება კრემლს.

ორი სასწორი, ორი საზომი! დემოკრატიის ვერავითარი მტერი ამაზე უსაშინელეს სულიერ რეაქციას მას ვერ გამოუგონებდა...

იტალო-აბისინიის კონფლიქტი

ამ კონფლიქტში ინგლისმა აბისინიას თავიდან ენერგიულათ დაუჭირა მხარი. მან მიიღო ყოველნაირი ზომა და მიმართა მთელ მის გავლენას, რომ ერთა ლიგას თითქმის ერთხმათ ეცნო იტალია დამნაშავეთ და აგრესორათ. მაგრამ ინგლისის მთავრობას ქონდა თავისი ანგარიში და აქ არაფერი იყო უანგარო და პლატონიური. მას ეშინოდა იტალიის გამაგრების და გაბატონების აბისინიაში, რითაც ინდოეთისაკენ და სამხრეთ აფრიკისაკენ მიმავალი მისი გზები შეიძლებოდა ხიფათში ჩავარდნილიყო. ამიტომ ინგლისი იტალიას ყველაზე უფრო სასტიკათ დაუპირდაპირდა.

მაგრამ მალე მდგომარეობა შეიცვალა და ინგლისს გაურთულდა საქმეები შორეულ აღმოსავლეთში და ეგვიპტეში, მისი ფლოტი, მისი დიდი სამხედრო გემები შესაფერისი ნავთსადგურების უქონლობის გამო დიდ გასაჭირს განიცდიან ხმელთა შუა ზღვაში; გარდა ამისა ინგლისი დგას ეხლა მეტათ რთულ საკითხების წინაშე საზღვაო კონფერენციაზე და სხვა. და აი ინგლისის მთავრობამაც დააპირა უკან დახევა და იტალო-აბისინიის კონფლიქტის კომპრომისით დროზე მოგვარება. საფრანგეთის წარმომადგენელთან ერთათ შეიმუშავეს ანგლო-ფრანგული პროექტი, რომლის ძალით აბისინიის ტერიტორიის თითქმის ერთი ნახევარი იტალიას ეთმობოდა, მეორე ნახევარზე კი მისივე პროტექტორატი მყარდებოდა. მართალია ინგლისის საზოგადოებრივი აზრის აჯანყებამ ბოლდვინი აიძულა თავისი შეცდომა ეღიარებია და ეს პროექტი უკან წაეღო, მაგრამ ცხადია, რომ, როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაშიდაც, ინგლისის მთავრობა თავის და არა აბისინიის სასარგებლოთ მოქმედებდა. პატარა და წვრილ ერებს იმპერიალისტური ქვეყნებიდან არასოდეს სარგებლობა და დახმარება არ უნახავს, თუ მათი ინტერესები ერთმანეთს არ ხვდებოდა და არ ეგუებოდა.

იტალო-აბისინიის კონფლიქტში აბისინიის მხარეზეა, მის დამოუკიდებლობას იცავენ და მისი ტერიტორიიდან იტალიელების საოკუპაციო ჯარების უკან გაყვანას მოითხოვენ ევროპის პატარა სახელმწიფონი, როგორც მაგალითად, სკანდინავიის, ბალტიის, ბალკანეთის და მცირე ანტანტის ქვეყნები, ბელგია, გოლანდია და სხვები. აბისინიის დამოუკიდებლობას იცავს და მას მხარს უჭერს აგრეთვე სოციალისტური და პროფესიონალური კავშირების ინტერნაციონალი.

აგრესორს და თავდამსხმელს იცავენ ევროპიელ რეაქციონერების შედარებით ვიწრო წრეები, რომელნიც აბისინიის წინააღმდეგ გამოდიან და იტალიას ყველაფერში ამართლებენ. მაგრამ ეს ადვილი ასახსნელია და აქ გასაკვირი არაფერია. გაუგებარი და გასაკვირია მხოლოთ ის, რომ ზოგი ემიგრანტული ქართული გამოცემა და ფრანგული ჟურნალი «პრომეთე», რომელიც თავის თავს საბჭოთა რუსეთში მომწყვდეულ ჩაგრულ ერთა თავისუფლების და ინტერესების დამცველს უწოდებს, აბისინიის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას ებრძვიან და მის უცხო ჯარებით ოკუპაციას ნორმალურ მოვლენათ სთვლიან.

რატომ, რა საბუთებით?

ამბობენ, რომ აბისინია რამოდენიმე ტომისაგან შესდგება. იქ ერთი ტომი მეორეს ფლობს და ყველა ეს ტომები ერთათ კი რამდენიმე სატრაპის ბატონობას განიცდიანო. აბისინია ბარბაროსული ქვეყანაა და იტალიას იქ კულტურა და ცივილიზაცია მიაქვსო. მაგრამ ასეთი რამის ლაპარაკი ხომ ყოველივე დამპყრობელის და მჩაგვრელის მობოდიშება-დასაბუთებაა.

ინგლისიც, როცა წარსულში კოლონიებს იპყრობდა და იქ ცეცხლით და მახვილით მიდიოდა, მუდამ ამტკიცებდა, რომ იმორჩილებდა რა ადგილობრივ მცხოვრებთ, ის მათ კულტუროსან ხალხებათ ხდიდა. ამ «მიზნით» ის 750 წელი ებრძოდა ირლანდიას, მაგრამ ეს უკანასკნელი ინგლისის კულტურა-ცივილიზაციას არ შეურიგდა და თავისი ეროვნული გზით სიარული და ცხოვრება ამჯობინა. ასევე იქცევა დღესაც ინგლისი ინდოეთში, რომელიც მრავალ სხვადასხვა ერთმანეთისაგან განსხვავებულ ტომებისაგან შესდგება. ინდოეთი კი უინგლისოთ ცდილობს თავის საკუთარ საქმეების მოწყობას და მას თავის ტერიტორიიდან ერეკება. ანალოგიური მდგომარეობაა ეგვიპტეში და ბევრ სხვა ადგილას.

ამბობენ აგრეთვე, როგორ შეიძლება ჩვენ აბისინიის მხარეზე ვიყოთ, როცა მას თანაუგრძნობს და მხარს უჭერს საბჭოთა რუსეთიო. თავისთავათ ეს საბუთი ვერ არის ობიექტიური. მაგრამ ის არსებითაც არ არის მართალი. მოსკოვის წარმომადგენელი ამა თუ იმ საჯარო კრებაზე ევროპაში საპროპაგანდოთ და სხვების თვალის ასახვევათ აბისინიას ესარჩლება, მაგრამ ფაქტიურათ, მატერიალურათ და ყოველგვარი ვაჭრობით საბჭოთა რუსეთი დღეს ყველაფერში იტალიას ეხმარება. სერიოზული სტატისტიკურ ცნობების მიხედვით არც ერთ სახელმწიფოს ამ იტალო-აბისინიის კონფლიქტის დროს იტალიაში არ შეუტანია ომისათვის იმდენი საჭირო მასალა, როგორც ამას დღეს რუსეთი შვება. და ეს ფაქტი არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული საპროტესტოთ სხვადასხვა ინტერნაციონალურ კრებებზე.

ზოგი იმასაც ამბობს, რომ აბისინია, როგორც უკულტურო ქვეყანა ერთა ლიგაში არ უნდა შეეყვანათო. და სწორეთ ამასვე ამტკიცებდა ინგლისის მთავრობის წარმომადგენელი, როცა დაისვა საკითხი აბისინიის ერთა ლიგის წევრად გახდომისა. ინგლისს თავის მოსაზრება ქონდა. მას ეშინოდა, რომ აბისინიის ერთა ლიგაში შემოსვლას მადა არ გაეხსნა ეგვიპტეს და ინდოეთისათვის და მათაც არ მოეთხოვათ «ერთათ დაჯდომა ინგლისთან და საფრანგეთთან». იტალია კი, რომელიც მაშინ ცდილობდა აბისინიის გულის მოგებას, წინააღმდეგ, მას ენერგიულათ იცავდა და მოითხოვდა მის სწორუფლებიან წევრათ გახდომას. ინგლისიც და იტალიაც თავისებურათ ანგარიშობდენ და თავიანთ სასარგებლოთ მოქმედებდენ.

ინგლისს უსაყვედურებენ, რომ ის წინეთ ერთა ლიგას ანგარიშს არ უწევდა და წვრილ ერების ბედი მას არ აინტერესებდაო. რა აქვს ინგლისს სათქმელი, როცა დღეს ამასვე სჩადის იტალიაც.

რომ ინგლისი ერთა ლიგაში ყოველთვის იცავდა თავის ეგოისტურ ინტერესებს და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა პატარა ერების ბედს და მდგომარეობას, ყველაზე კარგათ ეს ქართველებმა ვიცით. თუ 1920 წლის დეკემბერში საქართველო ერთა ლიგაში არ იქნა მიღებული, ამაში მთავარი დამნაშავე იყო ინგლისი, რომელსაც ეშინოდა საქართველოს ლიგაში მიღებით საბჭოთა რუსეთთან კონფლიქტი არ მოსვლოდა. საქართველო ერთა ლიგის გარეშე დარჩა და ამან მისი დაცემა დააჩქარა. და თუ ეს ასეა, მაშინ რით არის უკეთესი იტალიის საქციელი, როცა ის აბისინიის ერთა ლიგიდან გაგდებას მოითხოვს, მის თავისუფლების დასამარებას ცდილობს და მისი ტერიტორიის ოკუპაციას ახდენს?

ინგლისს მორალურათ იტალიის წინააღმდეგ, რასაკვირველია, სათქმელი დიდი არაფერი აქვს, იტალიაც ინგლისის მაგალითებზე მიუთითებს და ამით თავის მოქმედებას ამართლებს. ეს ადვილი გასაგებია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამათი დასაგმობი საქციელი სხვებმა უნდა მიიღონ და მოიწონონ. ერთი ქვეყნის იმპერიალიზმი შეიძლება საზრდოებდეს და ხარობდეს მეორე ქვეყნის იმპერიალიზმით, მაგრამ ჩაგრულ და დაპყრობილ ერების შვილებისათვის აქ არაფერია სასიხარულო და სანატრელი.

განსაკუთრებით არა სასარგებლო და მიზანშეუწონელია ჩვენთვის—ქართველებისთვის აბისინიის საწინააღმდეგო პოზიციაზე დადგომა. ამ თუთხმეტი წლის განმავლობაში ჩვენ მუდამ ვებრძოდით ერთი ერის მიერ მეორე ერზე თავდასხმას, მისი ტერიტორიის დაპყრობას და მასზე გაბატონებას. და ეხლა ამ ბრძოლის იარაღის ხელიდან გაგდება იქნებოდა ჩვენი წარსული ეროვნული საქმიანობის განიავება და მომავალი მუშაობისათვის ყოველივე შესაძლებლობის მოსპობა.

ბ. გვარჯალაძე.

მოკლე მიმოხილვა

ევროპის პოლიტიკური ცა ისევ მოიღრუბლა; მისი პოლიტიკური კვანძი კიდევ უფრო დაიხლართა; საერთო ატმოსფერა კიდევ უფრო დამძიმდა.

საერთო ყურადღებას იპყრობს ორი პოლიტიკური ცენტრი—დასავლეთი და აღმოსავლეთი. ეს ცენტრები ერთობ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, მარა ორივე ხარბად იზიდავს თავისკენ ყველა სახელმწიფოების ყურადღებას.

დასავლეთის ცენტრი შექნა იტალია-აბისინიის ომმა. თქმულება—«ფაშიზმი ომიაო»—სრულდება. ფაშისტური იტალია თავს დაესხა სუსტ აბისინიას და მის გადაყლაპვას ლამობს. ამან გამოიწვია მთელი პროგრესიული კაცობრიობის პროტესტი. ამ პროტესტის ზეგავლენით ერთა ლიგა თითქოს მკვდრეთით აღსდგა, წელში გაიმართა და თავის პოტენციალური ძალა აშკარა ჰყო. მისმა 50 წევრმა სახელმწიფომ იტალია თავდამსხმელად იცნო და მის წინააღმდეგ სანქციებს მიმართა. მსოფლიომ თითქოს თავისუფლად ამოისუნთქა. იგრძნეს თავი უფრო უშიშრად ძლიერი ხალხების სუსტმა მეზობლებმა. საერთაშორისო წესები თითქოს მართლაც უნ-

ეროვნული

და განახლდეს. ერთა ლიგა საზოგადო ყურადღების ცენტრში ჩადგა. ასეც უნდა მომხდარიყო. ერთა ლიგის პრინციპია ბრძოლა საერთაშორისო ძალმომრეობასთან. ეს არაა პრინციპი განყენებული, მეტაფიზიკური; პირიქით, ფრიად რეალური. ლიგამ უნდა გადაარჩინოს ხალხი და მთავრობები იმ აზრს, რომ მათ შეუძლიათ უპირატესობის მოპოება ხელშეკრულებათა დარღვევით და ომის საშვალებით. და აი უცებ ყოველივე ეს ყირაზე დადგა, უნდა გამქრალიყო უკვალოდ და გაქრებოდა კიდეც რომ ასე ძლიერად არ ახმაურებულიყო საზოგადოებრივი აზრი.

ეს ახმაურება გამოიწვია ხორ-ლავალის, აწ გაუქმებულმა, პროექტმა. ამ პროექტის ტექსტი სცილდება სამართლიანობის ყოველივე საზღვარს. აბისინიას ართმევდენ ნახევარ ტერიტორიას და პირდაპირ, თუ არაპირდაპირ აძლევდენ იტალიას. ამას ეძახდენ «ტერიტორიის გაცვლას»! და თან სახავდენ მას როგორც მოსაგებს და ხელსაყრელს მსხვერპლისთვის! ეს კიდევ ცოტაა. პროექტის მავნებლობა იმდენად უფრო სერიოზული და ღრმა იყო, რამდენად ის აწესებდა ჯილდოს დამცემისათვის და აკანონებდა დაპყრობას. მუსოლინს ახლა მეტს აძლევდენ, ვინემ ომამდე. და თუ გამეფდა ეს პრინციპი—ვინ იცის რამდენი აბისინია აღმოჩნდება ევროპაში, ასე რომ აბისინიის საკითხი გამომდინარეობს არა განყენებული რამ სამართლიანობიდან, არამედ სრულიად რეალური ინტერესებიდან ყველა ხალხების, რომელთაც აღარ სურთ იცხოვრონ ომის მუდმივი შიშის ქვეშ. ამიტომ გასაკვირი არაა ის აღშფოთება, რომელიც გამოიწვია ამ პროექტმა.

უდიდესი აღელვება ამ პროექტმა თვით ინგლისში გამოიწვია. აქ კამპანიას აწარმოებდენ არა მხოლოდ სოციალისტები და ლიბერალები, არამედ საგრძნობი ნაწილი კონსერვატიული პარტიისა, რომელთაც მხარი დაუჭირა ისეთმა გავლენიანმა გაზეთმა, როგორიცაა «ტაიმსი». ამ პროექტში აქ დაინახეს, და სრულიად სამართლიანად, პრინციპიალური პოზიციის დატოვება და თავდამსხმელის წინაშე კაპიტულიაცია. და აი თვით ხალხმა, თავისი ძლიერი ნებით, გამოასწორა თავის მთავრობის მიერ გახრილი პოლიტიკა, რასაც შედეგად მოჰყვა «ინგლისის ისტორიაში უმაგალითო შემთხვევა»—პროექტის ავტორი მინისტრის გადადგომა და თუ ბალდვინი დასტოვეს დაუსჯელად მხოლოდ იმიტომ რომ მან საჯაროდ აღიარა თავის დანაშაული, თუმცა მისი პოპულიარობა ისე შეირყა, რომ ამბობენ მალე თვითონ გადადგებაო. ამ რიგად მთავრობამ მუხლი მოიყარა საზოგ. აზრის წინაშე და თავის ხელის მოწერა საჯაროთ უკან წაიღო. დამტკიცდა ერთხელ კიდევ რომ რაც უნდა უმრავლესობა ჰყავდეს პალატაში ინგლისის მთავრობას, მას არ შეუძლია საგარეო პოლიტიკაში გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომელსაც მხარს არ უჭერს და არ ადასტურებს საზოგ. აზრი.

პარიზის პროექტი უარჰყო ჟენევამაც. მარა შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ თუ ინგლისის საზ. აზრი და მისი პრესსა არა, ჟენევაში არ აღმოჩნდებოდა მის წინააღმდეგ არც ერთი ხმა.

ამ პროექტის მოხსნის შემდეგ მდგომარეობა რჩება ისევ ძველი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ახლა ინგლისის საგარეო პოლიტიკის მთელი ხელმძღვანელობა გადავიდა ედენის ხელში, რომელიც, როგორც ვიცით, დიდი მომხრეა ენერგიული მოქმედების, მკაცრი სანქციების და ყოველივე ეს ჟენევის და მხოლოდ ჟენევის საშვალებით.

მეორე ცენტრია აღმოსავლეთი. აქ ხაზეინობს იაპონია. ის უხვად სარგებლობს ევროპის არევ დარევით, აფართოვებს თანდათან თავის საოკუპაციო ზონას ჩინეთში და ზედ თავის ბატონობას ავრცელებს. მანჯურიის შემდეგ მან ხელთ იგდო ჯიოხოლის მთელი რაიონი, ახლა ჯერი მიდგა მთელ სამხრეთ ჩინეთზე. აქ დაიწყეს იმით, რომ მოსყიდული ჩინელების საშვალებით შეეცადენ «ავტონომიური მთავრობების» შექმნას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი იქნებოდა ნანკინის მთავრობისაგან. ჩინეთის მთავრობამ კარგად იცის რომ «ავტონომისტების» უკან სდგას იაპონიის ჯარი, ამიტომ პირდაპირ მოქმედებას მოლაპარაკება არჩია, რის შედეგად მიიღო ფორმალური დაპირება რომ ეს პროვინციები ისევ ჩინეთის სუვერენობის ქვეშ დარჩებიან, მარა ამავე დროს იქნებიან «ავტონომიურ მთავრობების» მართველობის ქვეშ, რაც ნიშნავს იმავე დროს იაპონიის ბატონობას. ასე, ნელ-ნელა, მეთოდურად იაპონია ბატონდება ეკონომიურად და პოლიტიკურად აღმოსავლეთში და თუ ამას მიუმატებთ მის ლტოლვას მონგოლიისაკენ და ხელოვნურ ინციდენტებს მის საზღვრებზე, რაც ალბათ უვერტიურაა მომავალი მუსიკის მონგოლიაში გაბატონებისთვის—გასაგები გახდება ევროპის ზოგი პოლიტიკოსების, განსაკუთრებით ინგლისში და ამერიკაში, გამაფრთხილებელი გამოსვლები და ცდა აღმოსავლეთისაკენ სათანადო ყურადღების მიქცევისა, თუმცა რეზონანსი ამ გამოსვლების არც ისეთია, როგორიც უნდა იყოს იმ ინტერესების მიხედვით, რომელიც ამ სახელმწიფოებს აქვს კერძოთ ჩინეთში და საერთოდ აღმოსავლეთში.

აღმოსავლეთ-დასავლეთის ამ ამბებთან მჭიდროთ დაკავშირებულია საბჭოთა რუსეთის სვე-ბედი. იტალია აბისინიის ამბების შორიდან მოყურადე გერმანია არ უშვებს შემთხვევას რომ ყოველივე ეს თავის მიზნისათვის არ გამოიყენოს. ეს მიზანია—«თავისუფალი ხელი» რუსეთის მიმართ. ასეთი «თავისუფალი ხელის» მიღება კი დამოკიდებულია, პირველ ყოვლისა, საფრანგეთზე და აი, ისიც ცდილობს საფრანგეთის მომადლიერებას დიდი ხნის ზავით უკრაინის, თუ ბალტიის პატარა სახელმწიფოების საფასურით. დღემდის ასეთი შესაძლებლობა უდიდეს წინააღმდეგობას იწვევდა, განსაკუთრებით საფრანგეთის მემარჯვენე წრეებში. ამ უკანასკნელ დროს ამ მხრით რაღაც საგრძნობი ცვლილება მომხდარა. გაზ. «შოკ»-ში ამ დღეებში დაიბეჭდა «პატრიოტ ახალგ. ლიგის» დამაარსებლის და ხელმძღვანელის, ცნობილი მემარჯვენე დეპუტატის ტეტენჟეს ფრიად საყურადღებო ინტერვიუ. «გიტლერის მთავრობა—ამბობს ის—მე მიმაჩნია უფრო შესაფერად საფრანგეთ-გერმანიას შორის ხანგრძლივი ხელშეკრულების დასადებათ. შესაძლებელია რომ გერმანია მოითხოვს მოქმედების თავისუფლებას ზოგიერთ ოლქებში. ჩვენ არ გვაქვს უფლება მოვითხოვოთ რომ 65 მილ. ხალხს დაეხშოს ექსპანსიის ყველა გზები. რამდენად ეს ექსპანსია ჩვენსკენ არაა მომართული, იმდენად არ უნდა უყურებდეთ მას ალმაცერად».

ამ განცხადებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საფრან. კონსერვ. წრეებში. მემარჯვენე გაზეთები ტეტანჟეს ამ განცხადებას სთვლიან «ფრანგული ნაციონალიზმის ფრიად სერიოზული ევოლიუციის სიმპტომათ» და აღიარებენ რომ «ეს ევოლიუცია ნაციონალისტების ზოგიერთ წრეებში ჭეშმარიტად რომ საშიშარ ფორმას იღებს»-ო. მემარჯვენეების გავლენიანი გაზეთი «ეკო დე პარი» არ მალავს, რომ ამ «ნეო-ნაციონალიზმს» დღევანდელ პირობებში შეუძლია მეტად სერიოზული შედეგები მოჰყვესო. ადვილი შესაძლებელია ამასთან ქონდეს კავშირი საბჭოთა ჯარების დაგროვებას უკრაინის საზღვრებთან, რომლის შესახებ ამ დღეებში გაზეთები იუწყებოდენ.

ერთი სიტყვით 1935 წ. დასრულდა საერთაშორისო პოლიტიკური კვანძების დაუხსნელად და ის რთულ და აწეწილ ურთიერთობაში ანდერძათ მიიღო 1936 წელმა. შესძლებს თუ არა 36 წელი მის დახსნას და თუ შესძლებს რა გზით და რა ფორმით—ამას დაგვანახებს ახლო მომავალი.

ჩვენი მხურვალე სურვილია რომ ყველა ამ საკითხების მოწესრიგებაში ჩვენი ქვეყნის საკითხმაც სათანადო მოგვარება იპოვოს...

გრ. ურ.

გაკვრით

1. «დეკორატები».

ბოლშევიკური არისტოკრატია დიდი ხანია რაც დაშორდა მუშათა მასსებს. ძველი პარტ-ბილეთიანი კომუნისტები ვინც სტალინის რისხვას გადარჩენ ადმინისტრატიულ მართველობის თფილ ადგილებში ჩაეფლენ. ამათზე დაყრდნობილი კრემლის დიქტატორები კიდევ უფრო დაცილდენ იმ ბედშავ პროლეტარულ ნაწილებს, რომელთა ბედნიერებაზე ზრუნვით ქვეყანას აყრუებენ. ამ მოვლენათა გარეგნულად მაინც შესასუსტებლად დაიწყო სტალინის და მის ადიუტანტთა პირდაპირ კავშირის გაბმა პიროვნულად ამა თუ იმ ცეხის მუშასთან. საუბარი დიდ სტალინთან, გაბერილი ქება, სტალინის ხილვით აღტაცებული მუშის ნაამბობი, ხელის ჩამორთმევა, სტალინის «გენიალური რჩევანი» და სხ. მსგავსით გადაშავებულია საბჭოთა პრესა, მოსკოვი არ ღალატობს ისტორიაში ცნობილ ძველ დიქტატორთა დემაგოგიურ საშუალებებს. აბა სცადონ და გააკრიტიკონ კრემლში ტაშის საცემათ მოყვანილ დაზგის მუშებმა არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიურ სისტემის უვარგისობა, თუნდაც ხმა ამოიღონ საკუთარ პროფესიონალურ ინტერესთა დასაცავათ; «ჩეკის» ფხიზელი თვალი როგორც ყოველთვის იქ დაჰყურებს და შინ დაბრუნებისას მოკრიტიკე «ჩეკის» სარდაფში ამოყოფს თავს. სტალინის დეკრეტი: მხიარული ცხოვრება, სიცილი და კმაყოფილი სახეები ისე გამოყვანილია უკანასკნელ თვეებში გამართულ თათბირებზე, რომ სტალინი თავის «დეკორატებს» ასეთ მრავალფეროვან, მისთვის გამაღმერთებელ სურათების სცენაზე დადგმისთვის ცხადია უხვათ დააჯილდოვებს.

2. «ახალი მოძრაობა».

სწორეთ ერთი დიდი ყრილობათაგანი, ანუ უკეთ, ხელოვნურათ შემზადებული და მოწყობილი მუშათა მიტინგი, შესდგა მოსკოვში. სტახანოვის მოძრაობის გასაცნობათ და გასანვითარებლათ ვიღაც მუშის სტახანოვის ზედმეტი ნაწარმოების დამზადება მომეტებულ დროს დახარჯვით ზედმეტი ხელფასით იქნა დაჯილდოებული. ეს საზომი გახდა ახალი ლოზუნგის გადასასროლათ «სტახანოვცები ყველა დარგში». სპეციალური ცოდნა, სპეციალისტების როლი გუშინ გაღმერთებული უკანა რიგზე ჩამოდგა. ნაწარმოების ჩქარი ტემპით და მომეტებულათ დამზადებას ეწირება მუშის უკანასკნელი ენერგია, ის წელში იხრება ოღონდ ზედმეტი ხელფასი მიიღოს და მით ოდნავ საარსებო მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს. სინამდვილეში კი ეს მორიგი პროვაკაციული და დემაგოგიური სისტემა ნაწარმოების ბაზარზე გამოსაყრელათ, მოსალოდნელია კატასტროფიული გახდეს. მრავალ დამღუპველ შედეგებთან ერთად საკმარისია აღნიშნვა თუ როგორ ქიშპობას აგდებს მუშებს შორის ეს ახალი სამუშაო პირობები, თუ ერთ ცეხს შეუძლია ტექნიკურ საშუალებათა და ბაზრის მოთხოვნილების მიხედვით ზედმეტი ნაწარმოები გამოუშვას, მეორე დარგი ამას მოკლებულია, მაშასადამე მასში მომუშავენიც ნაკლებ ხელფასს მიიღებენ. ეს ქმნის შუღლს, ზრდის მუშათა არისტოკრატიას ერთის მხრივ, აბეჩავებს მეორეს. შეიძლება ესეც იყო დიქტატურის მიზანი—ერთ ნაწილზე დაეყრდნოს დანარჩენთა დასამორჩილებლათ. მოსკოვის დიქტატურა ხომ თავის ბატონობის შენარჩუნების წყურვილით არაფრის წინაშე არ შესდგება.

3. ბრძოლა გლეხობასთან.

საბჭოთა კოლექტიური მეურნეობის უმთავრესი პოლიტიკა გამოიხატებოდა იმაში რომ, არავითარი ილიუზიები არ დაეტოვებია გლეხობისთვის, რომ მათ შეუძლიათ ხელისუფლების წინააღმდეგ და სახელმწიფოსადმი ვალდებულებათა შესრულების გარეშე აწარმოვონ ოდნავ დამოუკიდებელი შრომა თავის გამოსაკვებათ. ან უსიტყვო დამორჩილება სახელმწიფოსადმი ან სიმშილით სიკვდილი. ამ მიზნით გამოიცა 1933 წელს კანონი სოციალისტურ საკუთრების დაცვის შესახებ. კოლმეურნე ერთი ფუთი მარცვლის საკუთარ საჭიროებისთვის გადამალვაში ისჯებოდა ათი წლის ციხით და ხან დახვრეტითაც; პურის მოსავალს ამით არ მოუმატია, მხოლოდ ციხეები კი აივსო გლეხებით. დამარცხებულ ხელისუფლებამ იწყო უკან დახევა. სახელმწიფო შეეკრა პირობით «კოლხოზებს», მისცა მას დაქირავებულ მუშის აყვანის უფლება, შემოღებულ იქნა დღიური წიგნაკები, შიგ ნამუშევარ და გაცდენილ დღის და ჯარიმის აღნიშვნით. შეიქნა სახელდახელო ლოზუნგი «სოციალიზმ ესტ უჩოტ». წარმოიშვა კოლ-მეურნეობაში მოანგარიშეთა და სხვადასხვა მოხელეთა არმია. ბიუროკრატიზმის წუმპეში ჩაიფლა და გაიფანტა «კოლხოზები»-ს ნამოქმედარი. სახელმწიფომ არ მოისურვა გლეხობისთვის დაპირებული განსაზღვრული წილი მოსავლისა მის პირად განკარგულებაში დაეტოვებია. მოტყუებულ გლეხობაში დაიწყო მასიური დეზერტირობა, ისინი ვერ დააშინა ვერც ციხემ, ვერც დახვრეტებმა. გააფთრებულ ბრძოლის პროცესში დაიწყო მიტოვებულ მიწის ნაჭრების დამოუკიდებელი დამუშავება. დაშინებულმა საბჭოთა მთავრობამ ჯერ თვალზე ხელი დაიფარა, შემდეგ მომხდარი ფაქტი დაადასტურა, მის წესიერათ მოგვარებას და ახალ, ცალკე ნაჭრების მიცემის უფლება მიისაკუთრა. ყურადღების ღირსია ის მოვლენა, რომ «კოლხოზი»-ს დესეტინაზე 25-30 ფუთის მეტი მოსავალი არ მოდის, კერძოთ დამუშავებულზე კი ბევრათ უფრო მეტი. ეს აფიქრებს სოფლის კომუნისტსაც: «სრულებით რომ მოისპობოდეს ეს «კოლხოზები» ყველა მაძღარი იქნებაო». მაგრამ დიქტატურის შიშის თვალები იქნობამდე მივიდა, რომ ამაში დაინახა ახალი «კულაკური» წამოწყებანი და აკრძალა ახალი მიწის დამუშავება კერძო ინიციატივით. არსებულს მართალია ითმენს, მაგრამ აუტანელ გადასახადებს აკისრებს და «გეპეუს» ტერორის ქვეშ აყენებს. ადვილი მისახვედრია თუ რა ორმოს თხრის ასეთი ვითარება ხელისუფლებასა და გლეხობას შორის. ბრძოლა დაწყებული რამოდენიმე წლის უკან ხელისუფლებასა და გლეხობას შორის შეუწყვეტელ და მწვავე ხასიათს ღებულობს. ამას ვერც «პრავდა»-«იზვესტია»-ს სატრაბახო მოწინავენი, ვერც სტალინის «მამა-შვილური» შეხვედრები მოსკოვში საამისოთ ჩამოყვანილ შერჩეულ ბრიგადების წევრებთან ვერ შეანელებს.

4. კომინტერნის მარცხი აღმოსავლეთში.

დაწყებული ომის წინა პერიოდიდან ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, ეგვიპტე წარმოადგენდა მრავალ სოციალურ კონფლიქტების ასპარეზს. მცხოვრებთა თითქმის ოთხმოცი პროცენტი ღარიბი გლეხობისა მოკლებულია საკუთარ სამუშაო მიწას, დამოკიდებულია მსხვილ მიწათ-მფლობელებისაგან. ომის შემდეგ ეს უმწეო მდგომარეობა უფრო გაფართოვდა, საგრძნობი ნაწილი მცხოვრებთა უსაქმოდ დაეხეტება. ერთი შეხედვით ეს საუკეთესო ნიადაგს იძლევა კომინტერნის პროპაგანდის გასაშლელათ და მისი გეგმების განსახორციელებლათ. სინამდვილეში აღმოსავლეთი წინ აღუდგა მოსკოვის სურვილებს. ზემოხსენებულ ქვეყნების გლეხობამ აირჩია გზა უფრო რეალური შესაძლებლობის ვინემ კომუნისტების სამოთხისებური დაპირებები—ზოგიერთი რეფორმების მოთხოვნა, ახალ ადგილებზე გადასახლება და სხვა. ცნობილია იაპონიაში მუშის მცირე ხელფასი, განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობაში და მაღალი გადასახადები, მიუხედავათ ამისა თვით ბოლშევიკების აღიარებით იაპონიის სოფელში კომუნისტური პარტია სრულებით ფეხს ვერ იკიდებს. მოსკოვის მხოლოდ პოლიტიკური გავლენა ჩინეთის ერთ კუთხეში და შიდა-მონგოლიაში სჩანს. მაგრამ

ახლო წასულიდან

2. იარაღის საკითხი *)

იარაღის მხრით საქართველო ჩავარდა იმ მდგომარეობაში, რომელშიაც მოექცენ ყველა დანარჩენი ახლათ დაარსებული სახელმწიფონი, რომლის ტერიტორიაზე არ აღმოჩნდა საომარი მასალის დამამზადებელი ქარხნები. შინ გაბრუნებულ რუსის ჯარს თან მიქონდა თავისი იარაღი. ერთათ ერთი ცდა მათი განიარაღებისა შამხორთან დასრულდა ტრაღიკულათ და კინაღამ გამოიწვია თფილისის გარნიზონის აჯანყება. შემდეგ როგორც იყო ეს გაბოლშევიკებული გარნიზონიც გავისტუმრეთ თავისი საომარი ბარგი-ბარხანით და არც იყო ჩვენს განკარგულებაში რაიმე შეიარაღებული ძალა, გარდა რამდენიმე ასეული გვარდიელებისა, ამ 35 ათასი ჯარის კაცის დასაპირდაპირებლათ.

რა იარაღი დარჩა ჩვენში რუს? ერთათ ერთი საწყობი იყო თფილისის არსენალი, სადაც 1917 წ. დეკემბერში აღმოჩნდა 18 ათასი თოფი. ამერ კავკასიის კომისარიატის დადგენილებით, სამხედრო სამინისტროს გამგის ოდიშელიძის აქტიური მონაწილეობით, ეს იარაღი გაიყო სამათ—ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანელ ახლათ შემდგარ ნაციონალურ დივიებს შორის. ჩვენ დაგვრჩა ექვსი ათასი თოფი. საქართველო აღმოჩნდა სავსებით განიარაღებული. ნაციონალურ მთავრობამ მიიღო ყოველი ღონე მოეკრიბა ქართველ ხალხში დარჩენილი ვინტოვკები, განსაკუთრებით ფრონტიდან დაბრუნებულთა შორის; მან განაიარაღა ჩრდილოეთიდან გამოქცეული ბანდები ჯერ ბოლშევიკების, შემდეგ დენიკინელების, ცოტაოდენი იარაღი ჩამოართვა სომხებს, როგორც საქართველოს ტერიტორიით გადატანილი საომარი მასალის ხარკი და სხ. ასეთი პრიმიტიული წესით მოგროვილი იარაღით შესაძლებელი გახდა ოცი ათასამდე მეომარის შეიარაღება და ბრძოლის ველზე გამოყვანა. ამ დროს ჩვენი უიარაღობა შეადგენდა სახელმწიფო საიდუმლოებას, რომ ხალხში მის გამომჟღავნებას პანიკა არ გამოეწვია და ამიტომ იარაღის მოვლა და შენახვა წესიერათ ვერ ტარდებოდა. მაგ. დაღესტნის დასახმარებლათ გაგზავნილი ჯარი, რომელიც შედგებოდა 1630 კაცისაგან, ყველა შეიარაღებულნი, თოფით დაბრუნდა მხოლოდ 183 კაცი, დანარჩენი იარაღი დაიკარგა *). ასე იფლანგებოდა მამასისხლათ მოგროვილი იარაღი სხვა მიმართულებითაც.

ასეთი ტრაღიკული მდგომარეობიდან გამოსვლა შეიძლება მხოლოდ ერთი გზით—უცხოეთიდან იარაღის შემოტანით. ყველა იარაღს სადაც კი იყო ის დაეპატრონა გამარჯვებული მოკავშირე სახელმწიფონი (ანტანტა), რომელთა ნებართვით შეიძლებოდა იარაღის მიღება. ევროპაში გაგზავნილ დელეგაციას მიეცა შესაფერი ინსტრუქცია. მაგრამ ანტანტა ჩვენს სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ სცნობდა. ამავე დროს 1919 წლის განმავლობაში საქართველოს წინააღმდეგ გაიმართა კამპანია ინგლისურ და რამდენიმეთ ფრანგულ პრესაში. ამ ორივე ენაზე წარმოებული თავსდასხმა ეყრდნობოდა ერთ და იმავე დოკუმენტს, რომლის ძალით საქართველო გამოცხადდა მოღალატეთ მთელი ანტანტის ომის დაწყების დღიდანვე. ეს დოკუმენტია ქართველ ემიგრანტების ერთი ჯგუფის მიერ დადებული ხელშეკრულობა ოსმალეთთან 1914 წ. სექტემბერში, რაიცა აღიარებდა საქართველოს და ოსმალეთის ინტერესთა ერთიგივეობას და ურთიერთის დახმარებას მსოფლიო ომში. ეს დოკუმენტი თვით ავტორებმა გამოაქვეყნეს ქართულათ გაზ. «კლდე»-ში (1918 წ.) და გახდა მიზეზათ ჩვენზე ევროპაში თავსდასხმისა. ინგლისის ცნობილ გაზეთ «მორნინგ პოსტ»-ში დაიბეჭდა კონსტანტინეპოლიდან ვებერთელა დეპეშა ამ სათაურით: «საიდუმლო ხელშეკრულობა, ჩვენი მტრების დამოკიდებულება ოსმალეთთან 1914 წ.», სადაც მოყვანილია შინაარსი ხელშეკრულობის და გაკეთებულია დასკვნა—საქართველო თავიდანვე ყოფილა მოღალატეო. ამის პასუხათ იმავე გაზეთში დაიბეჭდა ბ. კ. ჯაყელის ჩინებული წერილი (თებერვალი, 1919 წ.), გაიგზავნა თფილისიდან ჩვენი მთავრობის პასუხი რადიო-დეპეშით. მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენი მოღალატეობის ამბავი მთელ ქვეყანას მოსდვა რეიტერის სააგენტომ და მასზე ააგეს კამპანია ინგლისის პრესამ «ტაიმსის» მეთაურობით. ამ გამოლაშქრებას გამოეხმაურა ჩვენმა დამფუძნებელმა კრებამ, სადაც 10 მაისის სხდომაზე საგარეო მინისტრმა გეგეჭკორმა გააკეთა შესაფერი განცხადება და არკვევდა ინგლისის ჩვენზე გადამტერების მიზეზებს.

ამივე დროს ფრანგულათ დაიბეჭდა დაშნაკცაკანელთა წარმომადგენლის ვარანდიანის წიგნი ამ სათაურით: «სომეხ-ქართველთა კონფლიქტი და კავკასიის ომი», წიგნი აღსაშფოთებელი, გაბოროტებული, თავიდან ბოლომდე აღსავსე ცილისწამებით, სავსებით საქართველოს წინააღმდეგ მიმართული. ეს წიგნი დაურიგდა უმაღლეს საბჭოს წევრებს და ერთა ლიგის მეთაურებს. ავტორი თავის გამოლაშქრებას იწყებს იმავე დოკუმენტით, რომლის სრული ტექსტი მოყავს და ამტკიცებს საქართველოს «მართველ პარტიების ორიენტაციას ანტანტის წინააღმდეგ». მართალია სოც.-დემ. არ მოუწერიათ ხელი ამ დოკუმენტისათვის, მაგრამ მათ პირწმინდათ ის შეასრულესო და სხ. (გვ. 36-37) *).

ასეთ მოწამლულ ატმოსფერაში მოუხდა მუშაობა ჩვენს დელეგაციას ევროპაში. საქართველოს გაუვარდა სახელი მოღალატის, განსაკუთრებით ინგლისელთა შორის, რომელნიც იყვნენ საქმის ფაქტიური გადამწყვეტი. დელეგაციის პირველი დიპლომატიური გამარჯვება გამოიხატა ჩვენი სახელმწიფოს ფაქტიურათ ცნობაში უმაღლეს საბჭოს მიერ, 15 იანვარს, 1920 წ. მხოლოდ ამის შემდეგ მოისურვეს ჩვენი წარმომადგენლების მიღება და მათთან საქმიანი საუბარი. შეხვედრები მოხდა 16-19 იანვარს. პირველ შეხვედრისთანავე დაისვა იარაღის საკითხი. დელეგაციამ გადასცა მოკავშირეთ, რომ «მცირე ჯარისათვის საქართველოს აქვს საჭირო შეიარაღება და ზარბაზნები, მაგრამ ჩვენ გვაქვს ცნობები რომ არც სამხედრო მასალა და არც იარაღი საკმარისი არ იქნება ხანმოკლე თავდაცვისათვისაც კი, თუ თავსდასხმა მნიშვნელოვანი ძალით იქნა წარმოებული. ამიტომ საქართველოს ჯარებისათვის სამხედრო მასალის და შეიარაღების მიწოდება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს... ჩვენ ვითხოვთ დაუყონებლივ დახმარებას, იმიტომ რომ ვიცით რაც უფრო ძლიერი და მომზადებული ვიქნებით, მით უფრო გაადვილდება ბოლშევიკების შემოსევის თავიდან აცილება» და სხ. კლემანსო შეეკითხა დელეგაციას: «იარაღი და ამუნიცია რომ გამოგიგზავნოთ საშიში ხომ არ არის, რომ მათაც ისეთივე ბედი ეწვიოს, როგორც დენიკინისათვის გაგზავნილს? მას ძალიან ბევრი გაუგზავნეთ და ბოლოს და ბოლოს ყველა ეს ბოლშევიკების ხელში გადავიდა». დელეგაციამ შესაფერი დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. ამ თათბირების შედეგი იყო დაპირება იარაღის მოცემის (დელეგაციის ოქმიდან).

დელეგაციის დასახმარებლათ მთავრობა გზავნის საგანგებო სამხედრო კომისიას ოდიშელიძის მეთაურობით. ამავე დროს მთავრობის თავმჯდომარე აძლევს წერილობითი ნოტას, 23 მარტის თარილით, თფილისში მყოფ წარმომადგენელთ ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის, სადაც ვკითხულობთ: «ჩვენ მივიღეთ ფაქტიური ცნობა, რისთვისაც დიდ მადლობას გწირავთ, მაგრამ მე უნდა განვაცხადო, რომ მარტო ცარიელი ცნობა ჩვენ არ გვაძლევს არავითარ უპირატესობას ჩვენი თავისუფლებისა და სახელმწიფო არსებობის ბოლომდის დასაცავათ ... ჩვენ არა ერთხელ ალვძარით შუამდგომლობა დაგვხმარებოდით ამ ბრძოლაში იარაღით და სურსათით; დახმარება აღგვითქვეს, ვიცადეთ მოთმენით, მაგრამ დღემდე არ მიგვიღია არც ერთი ვაზნა, არც ერთი გირვანქა პური» და სხ. საგარეო მინისტრი უგზავნის დელეგაციას სასწრაფო დეპეშებს მიიღონ ზომები იარაღის შესაძენათ. «იარაღით დახმარება მოგვცენ. არ ვთხოულობთ უფასოთ, მოგვყიდონ. ნუ თუ საქართველომ ეს მაინც ვერ დაიმსახურა მათ თვალში», სწერს ის ერთ მიმართვაში, «იარაღი თუ გვექნა ჩვენ გაუმკლავდებით ყოველგვარ საფრთხეს», სწერს ის მეორე დეპეშაში. «იარაღი ვერ მივიღეთ, მდგომარეობა კრიტიკულია, ბოლშევიკები უკვე მოვიდენ თერგის ოლქის საზღვარზე. საჭიროა დაუყონებლივი დახმარება», სწერს მესამეში და ასე ყველა დეპეშებში. როცა ასეთი შეწუხებული დეპეშები იგზავნებოდა 1920 წელს საქართველოდან უცხოეთში, აი რა ხდებოდა აქ.

---

*) ამ წერილში მოყვანილი ცნობები ამოღებულია ქართული არქივიდან.

*) ამ ექსპედიციის პირველი ორი ეშელონი შევიდა დაღესტანში, იბრძოდა იქ პეტროვსკის და დერბენტის რაიონებში დაღესტანელთა გვერდით დენიკინელების წინააღმდეგ 20 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე (1919 წ.), დაბრუნდენ უკან საზღვართან ისლამასან მთავარ ძალებთან შესაერთებლათ, სადაც მოხდა საოცარი ამბავი—მთელი ჯარის განიარაღება!

ახლა «კავკაზი» და მის საფარველს ქვეშ შესული გადაგვარებული ქართველები უარსყოფენ ამ ისტორიულ ამბავს, ქართველების მიერ სისხლის დანთხევას დაღესტანელთა დასახმარებლათ. სიკეთის დამახსოვრებაც ასეთი უნდა.

*) M. Varandian: «Le Conflit Armeno-Georgien» 1919

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვმა თავის «ბუნტალურ სოციალიზმის» განხორციელებაზე აქაც ხელი აიღო. უარყოფილ იქნა ძალით «კოლხოზები»-ს დაარსება და ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ ამ მხრივ სრული თავისუფლება მისცა გლეხობას. მონგოლეთში 1928 წლიდან ხელისუფლება გადავიდა ე. წ. სახალხო პარტიის მემარცხენე ფრთის ხელში, რომელიც მოქმედებს ცხადია მოსკოვის კარნახით: უგეგმოთ მიწების ჩამორთმევა «კოლხოზების» დანერგვა, ქონების კონფისკაცია და სხ. საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემის შეჩერებას მოყვა ხალხის გამოფხიზლება რომლის უშუალო ზედ-გავლენით გაუქმებულ იქნა ყველა უკიდურესი ზომები.

საუკუნოებით შექმნილი საკუთარი ცხოვრებისა და უმთავრესათ რელიგიური ტრადიციების კედლები ასე ადვილი დასანგრევი არ აღმოჩნდა. აღმოსავლეთმა პირი იბრუნა მოსკოვის ძალათ-მაცხონებელთაგან.

პას.

ემიგრანტული პრესა

ნ. კოცევი გამოყვა «კავკაზ»-ის პროვოკაციას. მან მოათავსა ჩვენ საპასუხოთ წერილი, სადაც ჩვენი სიტყვები ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკის წასულის და მის საკუთარ როლზე რესპუბლიკის დაცემაში გამოცხადებულია «სავსებით გამოგონებულათ და არ არსებულათ. რაიცა უნდა აიხსნას მხოლოდ გონიერების დაკარგვით». ისიც მსგავსათ «კავკაზ»-ის სხვა თანამშრომლებისა ახლა თხზავენ გავლილ ისტორიას თავის დღევანდელ მოთხოვნილებათა თანახმად. მათ ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ ის უბრალო ამბავი. რომ ისტორია იწერება მაშინ როცა ის იქმნება, მომხდარი ამბები აღინიშნება მაშინვე ხალხთა მატიანეში. სწორედ ამ მასალებზე უნდა აეგოს მერმინდელი მსჯელობა გავლილი ეტაპის შესახებ. ჩვენ, როგორც ვთქვით ერთხელ, ვემყარებით ამ მატიანეს, რასაც კოცევი და მისი ამყოლნი არც კი ეხებიან, არც კი იხსენიებენ და ასე ზეპირათ თავის შეცდომებს სხვებს თავზე ახვევენ. აი რამდენიმე ისტორიული საბუთი ამ მასალებიდან, გადმობეჭდილი იმ დროის აზერბაიჯანულ, რუსულ და ქართულ გაზეთებიდან შესახებ მთის დაცემისა.

I.

... «დეკემბერში შესდგა კოცევის კაბინეტი და იანვარში შეიკრიბა საკავშირო საბჭო. ფორმალურად მთავრობაც და საბჭოც მიზნათ ისახავდენ მთის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, ნამდვილად კი ჭეშმარიტი დამცველები დამოუკიდებლობისა მთავრობაში და პარლამენტში (!) უმცირესობა იყვნენ. უმრავლესობა კი მხოლოდ აფარებდა თავს ამ დროშას. დენიკინის გამარჯვება ფრიად სასარგებლო იყო მათვის და მოხალისეთა ჯართან კონფლიქტი სრულიად არ შედიოდა მათ ინტერესში. ამ ნიადაგზე მათ შორის უთანხმოება ისე გამწვავდა რომ მარტის ბოლოს კოცევის კაბინეტიდან გავიდენ ზოგიერთები. შევსება კაბინეტის ისევ კოცევს მიენდო, მარა არც ერთმა მოღვაწემ დამოუკიდებელთაგან არ მოისურვა მის კაბინეტში შესვლა. შემდეგ დიდი ცდა-მაცადინეობით, როგორც იქნა დამოუკიდებელთა წრიდან ორი წევრი დაითანხმეს. შეიქნა მეტად კურიოზული მდგომარეობა. პარლამენტს და მთავრობას ყოველ დღე გამოჰქონდათ რეზოლიუციები— «ომი ბოლომდის» და ამავე დროს კი არავითარ ზომებს არ იღებდენ ამისთვის. ყველაფერი ისე კეთდებოდა რომ უმზადებდა ნიადაგს დენიკინის პროვოკაციას. მთავრობის საეჭვო ყოფაქცევამ და უმოქმედობამ მეტად დამღუპველი შედეგები მოუტანა დაღესტანს. მთავრობამ ისე დაკარგა ყოველგვარი ნდობა ხალხში, რომ აპრილის ბოლოს არსებითად მთავრობა აღარც კი არსებობდა და კოცევი იძულებული გახდა გადამდგარიყო. მთავრობის შედგენა მიენდო ხალილოვს. არ გასულა სამი დღე (ხაზი ჩვენია. მეპ.) ხალილოვის სამინისტროს შედგენისა, რომ პეტროვსკში შემოვიდენ მოხალისეთა ნაწილები. პეტროვსკიდან კი მოვიდენ თავადი ტარკოვსკი და პოლკოვნიკი მაგამეტოვი მოსალაპარაკებლად. ამ მოლაპარაკების შედეგად ხალილოვმა განაცხადა რომ შექმნილ მდგომარეობის გამო ის ხელს იღებს ძალაუფლებაზე და მას შურის მთავარ სარდალს აბარებს» და სხ. და სხ... (გაზ. «გრუზია», № 118. 1919 წ. გადმობეჭდილია გაზ. «ადერბაიჯანი»-დან).

II.

«მთიელთა რესპუბლიკის უკანასკნელი დღე.

წერ. რედაქ. მიმართ.

«ვინაიდან მთელი ქართველი საზოგადოება დიდი ყურადღებით და ინტერესით მოეპყრა თემირ-ხან-შურაში მომხდარ ამბავს, საჭიროა ნათლად გამორკვევა იმისა, რაც იქ მოხდა. ამიტომ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ მთიულეთის პარლამენტის უკანასკნელი სხდომის ოქმს. ამ ოქმში ერთის მხრით ნათლად იხატება ხალილოვის, კოცევის და ტარკოვსკის საზიზღარი მუხანათობა, მეორეს მხრით ოქმი ნათელს ფენს იმას, თუ რამდენად ძლიერია მთიულეთის ხალხში დამოუკიდებლობის იდეა. მთიულეთის ხალხი არასოდეს არ აპატიებს ამათ ასეთ საზიზღროების ჩადენას და პასუხის მოთხოვნის ჟამი იქნება მრისხანე და სასტიკი...

«ამ დღეებში დაღესტანმა დაინახა, თუ როგორ ბრწყინვალეთ და მოწიწებით გაემგზავრა კოცევი მოხალისეთა ორკესტრის თანხლებით ეკატერინოდარში. ეს ის კოცევია რომელსაც მთიულეთის ხალხმა სამჯერ გამოუცხადა ნდობა. კოცევზე ყრუ ხმები დადიოდა, მაგრამ მთიელებს არ სჯეროდათ, რომ მთიულეთის შვილი შესძლებს სამშობლოს ღალატს. და როდესაც გენ. მასლაგოვმა (ინგუშეთის მართველი) სთქვა: კოცევი დენიკინის სამსახურში არისო—ხალხმა ეს უარყო და ამ ცნობას პროვოკაცია უწოდა. ბევრი ისწავლეს მთიულებმა, მომავალში ისინი ადვილად არ შეცდებიან...

«მთიელთა პარლამენტის წევრი ინგუშეთიდან
აბუბეკირ პლიევი».

—

«უკანასკნელი სხდომა ჩრდილო კავკ. რესპუბლიკების საბჭოსი (პარლამენტის). 23 მაისი 1919 წ. ქ. თემ. ხან-შურა.

«კრება გახსნა თავმჯდომარის მოადგილემ პენზულაევმა. ხალილოვის კაბინეტის მთელი შემადგენლობა დაესწრო სხდომას. დეპუტატებს აღელვება ეტყობათ. წაიკითხეს მოხალისეთა ლაშქრის უფროსის დეპეშა. მოითხოვენ რომ დათხოვნილ იქნას პარლამენტი და გადადგეს აგრეთვე მთავრობა. ამ სხდომაზე იმყოფება მოღალატე თავადი ნ. ტარკოვსკი—დაღესტნის მართველი, რომელიც დანიშნა გენ. ლიხოვმა. ტარკოვსკი მოსული იყო პეტროვსკიდან და მოხალისეთა სახელით აწარმოებდა მოლაპარაკებას მთიელთა მთავრობასთან. დადგა საბედისწერო კითხვის გადაწყვეტის ჟამი—მთიელთა რესპუბლიკის ყოფნა არ ყოფნის საკითხი. მთავრობის თავმჯდომარე ხალილოვი აკეთებს რიგ გარეშე განცხადებას და სრულიად დაუსაბუთებლად აცხადებს რომ მთავრობა გადადგა. ეს განცხადება უკამათოთ მიიღეს მხედველობაში. პარლამენტი გადადის მთავარ კითხვის გარჩევაზე.

«დაღესტნის ფრაქცია ითხოვს სხდომის შეწყვეტას, სხვები წინააღმდეგია, მარა სხდომა მაინც შეწყდა და როცა კრება გაიხსნა დაღესტნის ფრაქცია აცხადებს რომ ჩვენი ფრაქცია იღებს მოხალისეთა წინადადებას—პარლამენტის დათხოვას და მთავრობის ლიკვიდაციასო» და ასაბუთებს თუ რატომ იღებს. დიდი კამათის შემდეგ დაღესტანელების წინადადება კენჭის ყრით ყველა ფრაქციებმა უარყვეს. ამის პასუხად დაღესტანის ფრაქციის წარმომადგენელმა აპაშევმა განაცხადა:—«ჩვენმა ფრაქციამ იცოდა რომ კენჭის ყრით ჩვენი წინადადება უარყოფილი იქნებოდა და დამავალა მე განვაცხადო რომ დაღესტნის ფრაქცია შეუძლებლად სცნობს იმუშავოს პარლამენტში და არც შესაძლებლად მიაჩნია დაღესტანის ტერიტორიაზე იმყოფებოდეს დღევანდელი პარლამენტი. ამ განცხადების შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს პარლამენტის სხდომას დახურულად.

«ბატონებო! სმენა; გაჰკივის გენ. ხატი მურატი—მთავარსარდალი ქ. შურის—რადგან პარლამენტი დათხოვნილია და მთავრობაც აღარ არსებობს მე ჩავიბარე ძალაუფლება და ვაცხადებ რომ ქალაქიდან გასვლა ჩემდა ნებადაურთველად აკრძალულია» და სხ... («ერთობა» № 151, 10 ივლისი 1919 წ.).

ასეთია მატიანე. თუ ეს მართალი არ არის, თუ ბ. კოცევი მიგვითითებს იმ წყაროებზე, სადაც მოთხრობილი ფაქტები თავის დროზე უარყოფილი იყო და მთის დაცემის ამბავი სხვანაირად არის მოთხრობილი, ჩვენ პირველი გავიხარებთ და ამ სიხარულს საჯაროთ გამოვაცხადებთ.

მეპრესე.

კონსტანტინეპოლის ჩვენი წარმომადგენელი იწერება 4 მაისის თარიღით: «თანახმათ თქვენი დავალებისა შევეკითხე ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის უმაღლეს კომისრებს, თუ როდის შეიძლება მივიღოთ დაპირებული ამუნიცია. როგორც მოსალოდნელი იყო გადაჭრილი პასუხი არც ერთმა არ მომცა. მითხრეს ეს საკითხი ჩვენმა მთავრობამ უნდა გადაწყვიტოსო»; ხოლო პარიზის ჩვენი წარმომადგენელი იწერება: «მას შემდეგ რაც დეფაქტოთ გვიცნეს და იარაღი შეგვპირდენ ყველას კარებზე ვდგევართ და იარაღს ვთხოულობთ. დღემდის მუდამ ფეხს ითრევენ. ხან გვეუბნებიან რომ ბოლშევიკები თქვენკენ არ წამოვლენ და მათთან ზავის ჩამოგდებას მოახერხებთო, ხან ამბობენ რომ პრინციპიალურათ გადაწყვეტილია იარაღის მოცემა. საჭიროა მხოლოდ ბრძანების მიღებაო. ერთი კარებიდან მეორესაკენ გვაგზავნიან და არსაიდან არაფერი არ გამოდის. ორი თვის განმავლობაში ლონდონში ყველას თავი მოვაბეზრეთ ამ იარაღისათვის. გენერლები რომ ჩამოვიდენ, ვიფიქრეთ მათ როგორც სამხედრო პირთ მეტ ყურადღებას მიაქცევდენ და ყველგან დაგვყავდა. ჯერ არა გამოდის რა» და სხ.

ამ დიდი თხოვნის და მუშაობის ნაყოფი იყო საფრანგეთის გადაწყვეტილება ივლისში მოგვეცეს 5 ათასი თოფი და 10 მილიონი ვაზნა რუსეთის სისტემისა, რომელიც ეწყო ბოლგარიაში, ქ. ვარნაში. მაგრამ ეს მცირე დახმარებაც ვერ შესრულდა; ოფიციალური ცნობით ვარნას ნავთსადგურის მუშებმა უარი განაცხადეს იარაღის გემზე გადატანაზე, ნამდვილად კი, უეჭველია, ეს იყო მოხერხება ბოლგარიის მთავრობის, რომ იარაღი არ გაეშვა ხელიდან. წამოსაღებათ მისული გემი ცარიელი დაბრუნდა.

ამნაირათ, მოკავშირე სახელმწიფოებიდან იარაღი ვერ მივიღეთ. ოდიშელიძის კომისია დაბრუნდა ხელცარიელი. იყიდა მხოლოდ აეროპლანები იტალიაში. მისთვის გახსნილი კრედიტები სავსებით არც კი გაუხმარია, ათას ქირვანქაზე მეტი უკან დააბრუნა.

ამნაირათ, ჩვენს წინააღმდეგ აღმართული კედელი ევროპაში ვერ გავარღვიეთ; ინგლისისათვის ბოლომდე დავრჩით «მოღალატე». ჩვენს დიპლომატიურ გამარჯვებას, ორჯერ ჩვენს ცნობას ვერსალის არეოპაგის მიერ, ვერ მოყვა ჩვენთვის მატერიალური არა თუ დახმარება, არამედ უბრალო სავაჭრო წესით იარაღის მოპოვებაც კი; არც მოგვცეს, არც მოგვყიდეს. რა იქნებოდა დღეს პოლონეთი, რომ მისთვის იარაღი არ მიეცათ და 1920 წ. ომში მოსკოვთან უცხო დახმარებით ყველა ფეხზე დაჭედილი არ ყოფილიყო. ოსმალეთის სამოსკოვო ორიენტაცია გადასწყვიტა სწორეთ იარაღის საკითხმა; ევროპა მას იარაღს არ აძლევდა, მოსკოვმა ხელი გაუწოდა, ამით მოიგეს ომი ბერძნებთან. საქართველო კი დარჩა თავისი შინაური რესურსების ამარათ. ჩვენი დელეგაციის მიერ მიცემული ცნობა უმაღლეს საბჭოსადმი ჩვენი შეიარაღებული ძალის შესახებ, 24 ათასამდე, იყო სწორი. არასოდეს ამაზე მეტი ლაშქარი ჩვენ არ გვყოლია ფეხზე, თუმცა მთავრობა ხშირათ ადგენდა ფართე მობილიზაციას, რის რაოდენობა უკანასკნელათ აიყვანა 40 ათასამდე; მაგრამ ფაქტიურ მობილიზაციას საზღვრავდა იარაღის რაოდენობა და არა კეთილი სურვილები. მართალია ბოლოს, სულ ბოლოს, თფილისის დატოვების შემდეგ საფრანგეთმა მოგვიტანა ბათუმში ცოტაოდენი რუსის თოფი, რომლის უმრავლესობა უვარგისი გამოდგა, მაგრამ ესეც იყო მეტათ დაგვიანებით, როცა მისი მოხმარაც კი შეუძლებელი გახდა.

ამნაირათ, საქართველო, ევროპიდან მიტოვებული, თავის შინაურ მარაგზე მიშვებული, მაინც ახერხებს იყოლიოს მცირე შეიარაღებული ლაშქარი, მსგავსათ ძველი საქართველოისა. მეფე ერეკლემ ყველა თავისი ომები, ასპინძის, კრწანისის და სხ. მოიგო გაცილებით ნაკლები მეომარით, ვინემ ჩვენ გვყავდა. მას არასოდეს არ ყოლია ხუთი ათას ჯარის კაცზე მეტი.

ჩვენ რომ გვყოლოდა მართლა ქართული სარდლობა, ქართული სტრატეგიის, ქართული სამხედრო ხელოვნების მცოდნე და არა აღზრდილი რუსეთის თვალუწვდენელ სივრცის და უამრავი ცოცხალი ძალების ანგარიშზე, არც ბორჩალოში დავმარცხდებოდით, არც თფილის დავტოვებდით.

«ბრძოლის ხმა»-ს რედაქცია.

—

P. S. ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ პირველ წერილში ნახსენები ბელგიაში მყოფ ქართველ ოფიცერს თავის ნაწერებში ქართული მთავრობისათვის «გულუბრყვილო» არ უწოდებია.

რედ.

ამხ. ანანია სალუქვაძის წერილი[*]

... შენ ალბად გაინტერესებს ჩემი ამბავი. ამიტომ მოკლეთ მოგწერ ცოტა რასმეს.

უწინარეს ყოვლისა მოგითხრობ «ჩემი ქონების» ისტორიას. ბევრი არაფერი მქონია, მაგრამ რაც მქონდა, ისიც «გაანადგურა საზოგადოებრივი განვითარების სტიქიამ». ვალაპარაკოთ ფაქტები: «ჩემი ემალის ჩაინიკი», რომელიც ხან ომში დამქონდა, ხან ახალციხე-ხულოში, ხან ფშავ-ხევსურეთში, ბოლოს რუსეთში მოუწია ხეტიალი და თავრების ყოფილ სავანეში «დაბინადრება»,—უკვე გაცვდა, უკვე დაიცრიცა, მანც ველარ გაუძლო «განვითარების ულმობელ სტიქიას» და სული განუტევა. ათი წლის წინეთ ერთი შარვალი მაჩუქა კალ. გოუამ, რომელიც თითქმის დღემდის ვათრიე, რამოდენიმეჯერ გადავაბრუნე გადმოვაბრუნე, ყოველივე ზომები მივიღე მის გადასარჩენად, მაგრამ მაინც ველარ აიტანა «ცხოვრების ტალღების ცემა» და თქვენი ჭირი წაიღო. 1923 წელს ვილაცამ სახლაფორთოდ ერთი ნაბდის ყელიანი ჩექმა გამოგვიგზავნა, რომლის შესახებ «დიდი ომი» გაიმართა. ერთი ნაწილი მოითხოვდა ჩექმის ჩემზე გადმოცემას, მეორე წინააღმდეგი იყო. ლეო ამტკიცებდა, მაგას ბევრი ცოდვები აქვს, რომელი ცოდვა სად მოუგრეხს კისერს ჩვენ არ ვიცით, მასთან ჩექმაც დაიკარგებაო. კალისტრატე უმტკიცებდა: «ჩეხოტკა ადრე ბოლოს მოუღებს, ჩაახრჩობს, ეს ახალი ჩექმა მესაფლავეს შერჩებაო». ალექსანდრეს დაჟინებული მოთხოვნის თანახმად ჩექმა ჩამაბარეს. დრომ განვლო, ისტორიამ დაამტკიცა წინააღმდეგი. ჩექმა ჩემზე უფრო ადრე მიიცვალა და მე კიდევ ვეთრევი ამ სოფელში. 1927 წელში ერთმა მეგობარმა ერთი პალტო გამომიგზავნა. არც კარგი იყო, არც ცუდი. ჩაცმით აღარ ჩამიცვამს, კუთხეში ჩამოვკიდე, «შავი დღისათვის» შევინახე. თან მეშინოდა, რომ გოგოლის აკაკის პალტოს ბედი არ სწვეოდა. მასაც დიდი ხანი აღარ უცოცხლია. ეს «შავი დღეც» ადრე დადგა. ისიც ჟამთა-განკითხვის მსხვერპლი გახდა. ჩემი ძველი ჩემოდანი რომელიც მეტეხში ლეო რუხაძემ მაჩუქა, უკვე დადნა, უკვე დაიძონძა, მარტო ჟანგიანი მავთულები დარჩა და ვირთაგვებსაც აღარ აინტერესებთ. საბანი, რომელიც ს. მ—შვილს დარჩა ჩემსაც და შემდეგ მე შემრჩა, უკვე დიდიხანია მიიცვალა. მისგან, გარდა სევდიანი მოგონებისა, აღარაფერი დარჩენილა. საცვლების შესახებ აღარაფერი მაქვს მოსაწერი. ლები თავის დროზე არ მქონია. ამ რამოდენიმე წლის წინეთ ერთი ტომარა ვიშოვნე ლების პირად. შიგ ბალახები ჩავყარე, თან დაფნის ფოთოლიც გავურიე. არა მიტომ რომ დაფნას აქვს ლამაზი ისტორია, რომელიც შეკავშირებულია ძველ ელინურ ლეგენდებთან, რომაელ მეომართა ზღაპრულ ეპიზოდებთან, სოკრატის სიკვდილთან, პლატონის მელანქოლიასთან, არამედ მიტომ, რომ დაფნა ბუნების მწვანე სამეფოში ყველაზე უფრო სევდიანი მცენარეა. ის არსად სჩანს ზეიმ-დღესასწაულებში, მას ვერ ნახავთ მომცინარე ყვავილ-ნარებში. ის იქ არის, სადაც მეფობს მწუხარება, სადაც მეფობს კაეშანი, შავი გლოვა და ფიქრები. და ეს ჩემი სევდიანი ლებიც გასწირა ბედისწერამ. ტომრის სარჩული დალპა და ჩემი ლებიც ჩაესვენა სამარეში. ჩემი ტყავის სათუთუნე, რომელიც დაუვიწყარმა სილვამ მაჩუქა, არც კი მახსოვს როდის დამეკარგა. მასზე უფრო ადრე ჩემი უბრალო საათი დაიღუპა. ჩემი პატარა «პრიმუსი», რომელიც სამ წელს მემსახურებოდა უკვე გაყვა დროთა ბრუნვას. ჯერ ცალი ფეხი მოტყდა, მერე დანარჩენი, ბოლოს თავი გაუფუჭდა, ცეცხლი გაუჩდა და ტრაღიკულად გათავდა. ჩემს პატარა თუნუქის სანათურსაც დიდი ხანია უბედურება ეწია. ის მსხვერპლად დაეცა «ბუნების სტიქიონების ომის» დროს. ალბათ მოგეხსენებათ, რომ ეს ყოფილი თავრების ნახევარი კუნძული სეისმოლოგიურ ტალღებშია გახვეული, მისი ნიადაგი მერყევია, იმყოფება ტექტონიურ პროცესში. თვით გეოლოგიურ მეცნიერებაში ამის გამო ხაოსია. ფიქრობენ, ეს პატარა მიწის ნაჭერი დაიღუპება ისე, როგორც ქ. ბომბეია და კუნძული ისივ-კულიო. ჯერ კიდევ უძველეს ეპოქაში ახალ ერამდის ბერძნული ისტორიული წყაროების გადმოცემით აქ 4163 წლის წინეთ ყოფილა საბედისწერო მიწის ძვრა, რომელიც შემდეგ დროგამოშვებით მეორდებოდა. უკანასკნელ კატასტროფის დროს (1927) მოელოდენ დაღუპვას, მაგრამ კუნძული ისევ კუნძულად დარჩა, ისევ ბრუნავს ზღვაში, ხოლო დაიღუპა ჩემი სანათური და პატარა აფთიაქი.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მარქს-ჰენგელსის მიერ დასაბუთებული «საზოგადოებრივი სტიქიონისაგან დაუძლურებულ კლასის (ამ შემთხვევაში უბედური კაცის) განადგურების» შესახებ სავსებით თავს დაატყდა «ჩემს ქონებას». ეხლა ჩემს ცივს ოთახში სრული სიცარიელე და «მშვიდობაა». ამ ჟამად არც «ჩაინიკი» მაწუხებს, არც კალისტრატეს შარვალი, არც პრიმუსის ღადადი, არც ლეოს ჩემოდანი. გულს მაინც არ ვიტეხ და ხშირად მაგონდება ჭოლას სიტყვები: «ბატონებო, ეგ ჩემი უბედურება მირჩევნია— თქვენს ბედნიერებას».

მეორედ შენ გაინტერესებს ჩემი ოჯახური ცხოვრების დაწყება. როცა ამ ამბავს გაიგებდი, გაგეცინებოდა და იტყოდი: «მელა კვდებოდა და თავი საქათმეში მიჰქონდაო». ერთი შეხედვით ეს სწორია, მაგრამ სავსებით მართალი კი არ არის. ცხადია, არავითარი უფლება არ მქონდა მორალურად ჩემი ტანჯვები სხვისთვის გამეზიარებია. მე ამაში დამნაშავე ვარ, მარა სამწუხაროდ ეგ აგრე მოხდა. პატარაობიდან არ მეცალა, არც ჩემი გზა მიწყობდა ხელს, ამიტომ ყურადღება არ მიმიქცევია ბებელის რჩევისათვის: «ორი ადამიანი—ერთია და მათი მოგზაურობა ერთათ ამ სოფელში აუცილებელიაო». მას ალბად მხედველობაში ჰქონდა ბუნების გარდაუვალი კანონი, მე კი ჩემი მდგომარეობა და ისიც, რომ ამ გზისათვის არ ვიყავი მოწოდებულ-მომზადებული. მაგრამ ბოლოს მაინც ეგ ჩემი გაჭირვებულ უმწეო მდგომარეობის, ჩემი ბედკრული ხვედრის გაზიარება, განსაკუთრებით მძიმე პირობებში ჩემი მძიმე ტვირთი წილად ხვდა ახალგაზდა ადამიანს (ისიც შენს ბიძაშვილს). შეუდარებელი და დაუვიწყარი იქნება მისი თავდადება. ის არ მოსულა ჩემთან მზიან დარში, ლხინისა და ზეიმის დროს (თუმცა ეს ლხინი და ზეიმი არასოდეს არ მინახავს). მან მიატოვა თავისიანები, თავის კეთილდღეობაზე ზრუნვა და დაუკავშირდა ტანჯვას, თრევას, გაჭირვებას, შიმშილს. მხოლოდ ის მივლიდა და თავს დამტრიალებდა. თუ დღემდის ცოცხალი ვარ—ეგ მისი ნაყოფია. ჩუმად, უხმოდ რაღაც ფანატიკური გატაცებით იხდიდა ის თავის მოვალეობას. მან მსხვერპლად უძღვნა მთელი თავისი ახალგაზდობა რაღაც მიუწდომელ ოცნებას. განსაზღვრულ გარემოცვაში მას უხდებოდა მუშაობა ლუკმა პურისათვის, ბავშვის მოვლა, ჩემი დახმარება. ის არსებობისათვის ბრძოლაში გაილახა, მოტყდა და ჯანმრთელობაც დაკარგა. ერთხელ სიცოცხლის ნაკადებით ავსილი მისი ბუნება უკვე სანახევროდ ჩაქრა. როგორც ხედავ, აქაც მდგომარეობა კარგი არ არის, მაგრამ რა გაეწყობა, «ეგ ასეთია სოფელი, არვისგან მისანდობელი».

მესამედ ალბად შენ გაინტერესებს ჩემი ჯანმრთელობის ამბავი. უმთავრესად ის, თუ რატომ ამდენხანს არ მივიცვალე. ყველა: შინაური და გარეშე, ექიმი და მეგობარი, მტერი და მოყვარე, დიდიხანია მოელოდენ ჩემს სიკვდილს. ხშირად დროსაც ნიშნავდენ, რამოდენიმეჯერ კიდეც «შეიცხადიეს» «ჩემი სიკვდილი». ასეთი მდგომარეობა ახირებულია და ამიტომ ალექსანდრე ამ ორი წლის წინეთ გაჯავრებული იწერებოდა: «ვინ გაიგონა ასე გრძელი ავადმყოფობა, ან მოკვდი, ან მორჩიო». დიდი ხანია, რაც ჩემს სხეულს შემოესია ჭლექი, თირკმელების ქრონიკული სატკივარი, გულის ნევროსი და სხვა. ამ გრძელს მანძილზე ჩემთვის მხოლოდ ორი-სამი წელი იყო მსუბუქი, ნათელი, სადი. დანარჩენმა დრომ კი ჩაიარა სენთან ბრძოლაში. ბრძოლა იყო ჩუმი, საიდუმლო და ამ ბრძოლაში ვიყავი მარტოდ, ყოველმხრივ განიარაღებული, დაქანცული და წარსულ ჟამთა-ბრუნვისაგან გალახული. სენი იყო ყოველმხრივ შეიარაღებული, მას დახვდა ჩემს სხეულში ნოყიერი ნიადაგი. ჩემს ავადმყოფურ საიდუმლო ომში აქაური ნაზი ბუნება ვერაფერს მეხმარებოდა. საერთოდ შავად მეჩვენებოდა ეგ მთის მწვანე სამეფო, ეგ მთიური ბაღნარ-ხევნარები, ეგ ზღვისა და მზის პატარა კუნძული. აქ ყველაფერი სავსე იყო მწუხარებით, შავი ზრახვებით, ისტორიული ფიქრებით. აქ გარშემო ვხედავდი და მოსვენებას არ მაძლევდა მაჰმედისაგან გათხრილი საფლავები. და მუდამ მაგონდებოდა ის უბედური ღამე, როცა მისი ბრძანებით მთლიანად ამოჟლიტეს (1475 წ.) კუნძულზე მობინადრე მენუელები, ვენეციელები, ბერძნები და ამით მძიმე ლოდი დაადეს დიდ იუსტიანინესა და სორანცოს ბრწყინვალე ეპოქას. ბუნება აქ სავსე იყო სურნელოვანი მაცოცხლებელი ნივთიერებით, ჯანსაღი ჰავით და ნეტარებით. მაგრამ ის მუდამ ძუნწი იყო ტანჯულთათვის. ამიტომ მისთვის აღარ მიმიმართავს. აღარ მითხოვნია განკურნება და აღარ დამიწყია ვედრება პლეშჩევ-პუშკინსავით. მე არ მესმოდა მისი ამბორი, მისი ალერსი, მისი მალზამიური საიდუმლო გოდება. მე არ შემეძლო მეგრძნო მისი ჰავის მაცოცხლებელი ზეგავლენა. მე აქ არაფერს არ ვეძებდი. ბუნების მწვანე სამეფოს არ შეეძლო მოეცა ის რაც დავკარგე. მას არ შეეძლო გაეგო ჩემი დარდები, ჩემი დაჭრილი სხეულის ძახილი, ჩემი გულის გმინვა... ჩემთვის «აქა ყოველი არე-მარე იყო მოწყენით». ჩემს სიცხიან ღამეებში ხშირად ისახებოდა შური და მტრობა სიცოცხლისადმი. სიამოვნებით მოველოდი და მივიღებდი თვით ჰაგენის საბედისწერო ხანჯალსაც. შეიძლება ამ სიცხიან ომების შედეგი იყო როცა ამ რამოდენიმე წლის წინეთ ერთ ჩემ დღიურში სხვათა შორის ვსწერდი: «მოდის შავი ღამე. ღამე უბედური შავს ბნელს ძონძებში გამოხვეული. ზღვა ემზადება ომისათვის. მთები ეხვევა ღამის ბურუსში. მწვანე წალკოტისებური სანახაობაც მიეშურება საბედისწერო უფსკრულში. მხედველობიდან წაიშალა ბენდერუირის, მოლამის, ჩათირდაღის მწვერვალებიც «სრა-მაღნარის» ვებერთელა ტყეებიც დაფარა შავმა ღრუბლებმა. გარემო ცივდება მწუხარებით. აღარ მოისმის ჭოტის ძახილი, კანარეიკას სევდიანი მოთქმა. საღამოს ჩრდილოეთიდან თავრიდის მთებს შემოესია ყვავ-ყორანთა შავი ბრბოები. საშინელი ჯღავილ-ჯღავილით გაეშურენ სამხრეთისაკენ. სიმარტოვეში, სიცხიან ტანჯვებით ვხვდები გესლიან წყვდიადის მოახლოვებას. ჩემთან ისევ თავს იყრიან ღამის ჩრდილები, ღამის ლანდები, ღამის ჩადრებით. სულს ეუფლება ღამის ბოროტი დემონი. გულში ინთება ცეცხლი, სხეული ეხვევა ხანძარში და ზღვასთან ერთად ემზადება ბრძოლისათვის. სამყაროს უახლოვდება ვილაცა ძველი ძონძებით, ჩინგის ხანის ცივი მახვილით. იქნება რყევა-ნძრევა. იქნება უბედური ომი. იქნება წარღვნა და შეიძლება დაიღუპოს მთელი სამყარო. ამ უთანასწორო სტიქიონების ომში ის მარტოდ არის. მარტოდ არის ყველასაგან მივიწყებული, მიტოვებული, განწირული. ის გაქურდეს ბნელ ღამეში, ობლად მიატოვეს. გასცეს.

დაბნელდა. ღამის უკუნში ჩაეშო მთელი კუნძული. არსით კანდელი არ მოსჩანს, არც ელექტრონის

---

[*] ეს წერილი მიიღო ერთმა ამხანაგმა პარიზში 1932 წ. იბეჭდება მცირე შემოკლებით და უცვლელად.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანათურები. აი—პეტრეს მრისხანე ეშვებიან მწვერვალთა ბნელი სვეტები უკვე შესცურდენ შავი ზღვის ტალღებში. ზღვაზე აგორდენ ზვირთები. გაისმა ზღვის გუგუნი, კლდეების ხმაურობა, დედამიწის ზანზარი. უდაბურ ტყეებში ტურებმა იწყეს კივილი, მიუვალ მთებში დათვებმა—ღმუილი, ველურ ხევებში კი მგლებმა—ბღავილი. უჩან-სუს ხევში ვიღაცამ იწყო ზარების რეკა. უჩ-კობის ხევში ძველს აკლდამებთან გაისმა მოთქმა. უკუნეთში ჩაღუპულ მსოფლიოს ელვამ დაჰელა. ცაში გაისმა საშინელი გვირგვნა, ჰექა-ქუხილი. დედამიწის ზურგზე გამართულ ბრძოლას ცის სტიქიონიც შეუერთდა რაღაც ახალი განზრახვით, რაღაც ახალი უბედურებით. გამოჩდენ გორაციოს მიერ ასახული ღამის ქურდები, ღამის კალათები, ღამის მკვლელები, ღამის მხეცები. საბედისწერო სტიქიონების ბრძოლაში არსით არ ისმოდა ადამიანის ხმა. ის არსით იყო. ირგვლივ იყო საშინელი კრთოლვა, ცის არც ერთ კიდურზე აღარ ჩანდა მნათობის სხივი. ზღვა ყვიროდა ცოფიანსავით და ზღვის ღორები ეხეთქებოდენ თავრიდის კლდეებს. შორს ბრძოლის ველზე ღრიალებდა დევნილი დედა. იქ უდაბნოში გაისმოდა ტანჯულის კვნესა. და ამ კვნესაში ისახებოდა ლამაზი ტანჯვა და საიდუმლო გატაცება სიცოცხლისადმი. და ამ კვნესაში ცოცხლდებოდა ძველი ფიქრები ერთხელ დაკარგულ გაზაფხულის მოსვლის შესახებ».

დიდმა დრომ განვლო და ეს დღიურიც დამეკარგა. მე შემრჩა ისევ სავლელად ჩემი სიცხიანი გზა. რაღაც ბურანში გახვეული, რაღაც მძიმე ტანჯვების აგონიაში ჩავარდნილი სხეული თანდათანობით დნებოდა. მას თავს ესხმოდა სიკვდილი და იბრძოდა სიცოცხლისათვის. ამ სიცხიან ბრძოლაში საძებარი იყო საარსებო პურიც. ერთი მხრით უაზრობა იყო ასეთი ტანჯვების გაგრძელება, მეორე მხრით—აუცილებელი. ფონტონილლივით არ მომწყენია ეგ ტანჯვა. ეგ ძაღლური სიცოცხლე, მაგრამ ყოველივეს აქვს თავის ბოლო, თავის დასასრული. მიუხედავად ექიმების გამოტირებისა, ჩემი სხეულის ყველა ნაწილების სრული ატროფია ჯერ არ მომხდარა. ცხადია, ეს სიცხიანი ბრძოლაც უახლოვდება თავის განსაზღვრულ წერტილს, მაგრამ ჩემს ოცნებაში მაინც არის და იქნება ფიქრები სიცოცხლის შესახებ. რა ვუყოთ რომ «ერთნი წავლენ», მაგრამ სხვები მოვლენ. მე კიდევ მაინც რაღაცას ვეძებ. საერთო სენთან ბრძოლას შეჩვეული ვიყავი. ამას კი ბოლოს, ისიც ამ ერთი თვის წინეთ, ერთი «სასეირო» ხიფათი დაერთო. დილით ტყეში ფიჩხისთვის წავედი (მუდამ საფიჩხოთ იყო ჩემი საქმე). ხრამში ფეხი დამისხლტდა, პირაღმა დავეცი, ზურგის ხერხემალი ქვას დავარტყი. დიდხანს ვიწვალე. ვერც ვჯდებოდი, ვერც ვდგებოდი. ცუდათ კი დამიტოვა ძვლების სატკივარი. ეს ამბავი ე. ი. «დედაბერმა კერიას ძირში კისერი მოიტეხაო», აღარავისთვის მიმიწერია. ამან კიდევ უფრო გაართულა ჩემი სულიერი მდგომარეობა რაღაც უცნობი ფიქრებით. მაგრამ ჯერ სულს მაინც ვითქვამ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ამ სოფელში ვეთრევი და ცოცხალი ვარ. და «სანამ ცოცხალი ვარ სიკვდილიც არსით არის, როცა აღარ ვიქნები, ის მაშინ გაიმარჯვებს».

(დასასრული შემდეგ ნომერში)

◆

ვლასა იმნაძე

ორ იანვარს, დილით, პარიზში გარდაიცვალა ვლასა იმნაძე. ვლასა დაიბადა ქ. ლანჩხუთში 1892 წ. საკმაოდ შეძლებულ ოჯახში. სწავლობდა ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებელში. მშობლებს ძალიან უნდოდათ ის უმაღლეს სასწავლებელში შესულიყო; ამ მიზნით ის მიაბარეს ქუთაისში მკურნალის კერძო გიმნაზიაში, რომელიც ამზადებდა თავის მოწაფეებს «სიმწიფის მოწმობაზე». ის თითქმის მზათ იყო ეგზამენის დასაჭერად, რომ გამოცხადდა დიდი ომი და სხვებთან ერთად ისიც ჯარში გაიწვიეს. აქ ის შევიდა აფიცრის სკოლაში და მისი გათავების შემდეგ მსახურებდა კავკასიის ჯარში. მოხდა რევოლიუცია. დაირღვა ფრონტი, ამიერ-კავკასია და კერძოთ საქართველო ღვთის ანაბარად იქნა მიტოვებული. მეფის ძალა-უფლება მოიხსნა, ახალი ჯერ კიდევ ვერ დაპატრონებოდა მდგომარეობას. ბნელმა ძალებმა ფრთა გაშალეს, რევოლიუციის მტრებმა კანი იცვალეს და თავის პროვაკაციული საქმიანობა-მოქმედებით კიდევ უფრო ამღვრევდენ წყალს. განსაკუთრებით საფრთხეში თფილისი ჩავარდა. თფილისი იყო ცენტრი ამიერ-კავკასიის. მისი ბატონობა ნიშნავდა რევოლიუციის ბატონობას, მისი დამარცხება—რევოლიუციის დამარცხებას. და აი ყველა ბნელი ძალების ფარული თუ აშკარა იერიშები სწორედ აქ იყო მოტანილი. მდგომარეობა მეტად კრიტიკული და საშიში იყო, როცა ქალაქის დაცვის და წესრიგის აღდგენა იკისრა თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ და თავის აღმასრულებელ კომიტეტს, რომლის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია იყო, სათანადო დავალება მისცა. აღმასრულებელმა კომიტეტმა მიმართა გურიის სოც.-დემ. პარტიის კომიტეტს თხოვნით—გაეგზავნა თფილისში რამდენიმე ასეული გაბედული და მამაცი ამხანაგი, რომელიც იქნებოდა აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებაში და მის დავალებებს შეასრულებდა.

რაზმი გურიაში სწრაფად შედგა და შედგა სამხედრო წესზე, თავის შტაბით და ხელმძღვანელათ ვლასა აირჩია. რაზმი დაუყოვნებლივ გაემგზავრა თფილისში, გამოცხადდა აღმ. კომიტეტში, მიიღო სახელად:—«თფილისის მუშ. და ჯარის კაცთა აღმ. კომიტეტის საგანგებო რაზმი» და ჩასვლისათანავე შეუდგა წესრიგის დაცვას და აღდგენას. ეს იყო პირველი შეიარაღებული რევოლიუციური ძალა თფილისის აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებაში.

ბევრი ენერგია და შრომა დახარჯა ამ თავგანწირულმა რაზმმა თფილისში წესრიგის დამკვიდრებისათვის. რაზმი ვლასას ხელმძღვანელობით არავითარ საფრთხის წინაშე არ შემდგარა და ერთხელაც არ დაუხევია უკან. მან რამდენიმე დღეში შესძლო ყაჩაღთა მთელი გუნდის ხელში ჩაგდება, რომელიც შიშის ზარს სცემდა მშვიდობიან მცხოვრებთ, განუკითხავად სძარცვავდა გამვლელ-გამომვლელთ და მისი სწრაფი გასამართლებით და მწამსვე დახვრეტით, ბნელი ძალების თავხედობა საგრძნობლად ალაგმა.

რაზმის მოქმედება მარტო ამით არ განისაზღვრებოდა. ის წესიერებას იცავდა აგრეთვე იმ გაბალშევიკებულ ბრბოსაგან, ყოველ ჯვარედინზე რომ მიტინგებს მართავდა და ასეთი მათი შეკრებით წითელი თუ შავი რეაქციონერები შეგნებულათ რომ სარგებლობდენ თავიანთ პოლიტიკური მიზნებისათვის. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევის დროს, ალექსანდროვის ბაღში, რაზმი ვლასას მეთაურობით გარს შემოერტყა ამგვარ მიტინგს რომელსაც მეთაურობდა კომუნისტი ქავთარაძე და დაშლა მოსთხოვა. მოლაპარაკების დროს ატყდა პროვაკაციული სროლა და ორივე მხრით მკვდარი და დაჭრილები აღმოჩნდენ. კომუნისტებმა დიდი აყალ-მაყალი ასტეხეს ამის შესახებ, ვლასას დააბრალეს უმიზეზოთ და გაუფრთხილებლად მიტინგისათვის ტყვიის დაშენა. აღმას. კომიტეტმა ამის გამო შეადგინა საგანგებო კომისია ყველა პარტიების, მათ შორის კომუნისტების წარმომადგენელთაგან, რომელმაც დაწვრილებით გამოიძია ყოველივე და ვლასა და მისი რაზმი სრულიად უდანაშაულოდ იცნო. ბოლშევიკებს შეთქმულება ქონდათ, მათ უნდოდათ თფილისში ძალა უფლება ხელში ჩაეგდოთ, მაგრამ ვლასას გაბედულ და ენერგიულმა მოქმედებამ საქართველოს დედაქალაქი ხიფათისაგან იხსნა და გადაარჩინა.

განვლო ხანმა. თფილისში მუშათა უბნებში წითელი გვარდია შედგა. საგანგებო რაზმის მისია დასრულებულად ჩაითვალა, ნაწილი გვარდიაში ჩაიწერა, ნაწილი გურიაში დაბრუნდა. ვლასა დაინიშნა გვარდიის კომენდანტათ და ახლა აქ, ამ თანამდებობაზე, განაგძობდა წესრიგის დაცვის და განმტკიცების საქმეს.

ჩვენს ქვეყანას ოსმალოები შემოესია. აიღეს ბათუმი, მოადგენ გურიას. რეგულიარული ჯარი იმ დროს არ იყო. დაიწყო მოხალისეთა შეკრება. ლანჩხუთის რაიონში რამდენიმე ასეული ჯარში ნამსახური მოხალისე შეიკრიბა. ხელმძღვანელად ვლასა მიიწვიეს. ის გამოცხადდა თავის რაზმით სად. ნატანებში გენ. მაზნიაშვილთან. რაზმი პირდაპირ პოზიციაზე გაიგზავნა, ხოლო თვით ვლასა დატოვებულ იქნა გენერლის განკარგულებაში და სხვადასხვა ადგილებიდან მოსულ მოხალისეებს სამხედრო ვარჯიშობაში სწრთვნიდა.

შემდეგ ის მსახურებდა ისევ თფილისში. ბოლშევიკების შემოსევის შემდეგ სხვებთან ერთად ევროპას შეეხიზნა. სცხოვრობდა ბერლინში, სწავლობდა იქაურ უნივერსიტეტში ეკონომ. ფაკულტეტზე და როცა იქ ლუკმა პურის შოვნა მეტად გასჭირდა—გადმოსახლდა საფრანგეთშა. აქ ის მუშაობდა ქარხნებში თუ კერძო სამუშაოებზე და თავის შრომით თავსაც ირჩენდა და სხვებსაც ეხმარებოდა.

ვლასა იყო მეტად გულ-კეთილი, მგრძნობიარე ამხანაგი, უეჭველად ნიჭიერი, იშვიათი საინტერესო მოსაუბრე. მძიმე ფიზიკურ შრომის შემდეგ ის მაინც ახერხებდა ფრანგული ლიტერატურის თვალ-ყურის დევნებას; გულმოდგინედ კითხულობდა ყოველივე ახალს სამხედრო დარგში და მსჯელობის დროს ისეთ ცოდნას იჩენდა ამ სფეროში, რომ პირდაპირ გაკვირვებდა.

ის მოკვდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა—43 წლის. მას შეეძლო კიდევ დიდი სამსახური გაეწია თავის ქვეყნისათვის. მარა რაც გაუწევია, უეჭველია, იმისთვისაც დიდი მადლობით მოიხსენიებს მას განთავისუფლებული სამშობლო...

გრ. ურატაძე.

—

ვლასა დაასაფლავეს შაბათს, 4 იანვარს, სოფელ ლევილში. როგორც გამოსვენებას პარიზიდან, ისე დასაფლავებას მრავალი პატივისმცემელი დაესწრო. კუბო ეკლესიიდან სასაფლაომდე ხელით მიასვენეს ახლო მეგობრებმა და ამხანაგებმა. სასაფლაოს შუა ადგილას ის დაასვენეს და აქ მგრძნობიარე სიტყვები წარმოსთქვეს სოს. ასათიანმა (ფრანგულათ), ვიკ. ნოზაძემ და ვლასა მგელაძემ (ქართულად).

ბ. შ.

◆ ◆ ◆

შაბათს, 25 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე

საქართველოს დიდი მეგობარი

ჟან მარტენი

«ჟურნალ დე ჟენევ»-ის დირექტორი

წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე

A travers du Caucase.

ლექციის შემდეგ ნაჩვენები იქნება მნიშვნელოვან ადგილების სურათები.

მისამართი: 2, rue de Montpensier 2.

(მეტრო Palais Royal)

◆ ◆ ◆

სახალხო გვარდიის დღე

გასული წლის 15 დეკემბერს, ქ. პარიზის და მის ახლო ადგილებში მცხოვრებ ყოფილ გვარდიელების მიერ სახალხო გვარდიის დღის აღსანიშნავათ გამართულ იქნა საზეიმო სხდომა, ამხანაგური სადილით, რომელსაც დაესწრენ ყოფილ გვარდიელთა უმეტესობა, ვისაც კი უდროობამ, ან ავათმყოფობამ ხელი არ შეუშალა. სხდომის თავმჯდომარემ თავის ფრიად შინაარსიან და გრძნობიარე სიტყვაში აღნიშნა თუ რა დიდი როლი ითამაშა სახალხო გვარდიამ რესპუბლიკის განმტკიცებისა და მის თავდაცვის საქმეში, მოიგონა ზოგიერთი ბრძოლის ეპიზოდები და განსაკუთრებით 12 დეკემბრის ბრძოლა არსენალის აღების შესახებ. მისი წინადადებით სხდომამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ბრძოლაში დაღუპულ თავდადებულ ქართველთა ხსოვნას.

სახალხო გვარდიის წარსული ბრძოლები მოიგონეს აგრეთვე თავის სიტყვებში მიკ. ვარდოიანმა, კ. ნიკარაძემ, ნ. იმნაიშვილმა და სხვებმა. სიმ. გოგიბერიძემ თავის შინაარსიან წერილობით მოხსენებაში დაახასიათა სახალხო გვარდიის ისტორიული როლი ქართველი ერის ცხოვრებაში, მის მიერ გადატანილ ბრძოლათა გამარჯვების მნიშვნელობა, უკანასკნელ დამარცხების მიზეზები და გვარდიელთა მიერ თავდადებულ ბრძოლის ტრადიციების გამოყენება მიმდინარე ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

სხდომამ მიიღო წერილობითი მისალმებანი ბელგიიდან პოლკ. ირაკლი ცაგურიასაგან, რომელიც აღფრთოვანებით ეგებება 12 დეკემბრის დღის მოგონებას და აღნიშნავს ძვირფასი ვალიკო ჯუღელის თავდადებულ მოღვაწეობას და მის გმირულად დაღუპვას ქართულ საქმისთვის და მოუწოდებს ყოფილ გვარდიელთ მხნეობისაკენ... სიამოვნებით იქნა მოსმენილი დ. ბუაჩიძის წერილობითი მისალმება და აგრეთვე სიტყვიერათ გადმოცემული მისალმება ბ-ნ ჯიბო ყანჩელისაგან და მრავალ სხვა პირებისგან, რომელნიც გამოსთქვამენ მწუხარებას, რომ ვერ დაესწრენ მოსაგონარ სხდომას. სხდომას მიესალმა აგრეთვე პარიზის სოც.-დემ. ორგანიზაციის წარმომადგენელი.

კრებამ ერთხმათ დაადგინა: მიმართოს მილოცვით ქართველი ერის ბელადს ნოე ჟორდანიას, როგორც გვარდიის დამაარსებელს, მის სულის ჩამდგმელს და პირდაპირ უფროსს.

გვარდიელი.

კვირას, 19 იანვარს, Musée Social-ის დარბაზში

ქართველ ჟურნალისტთა და მწერალთა ასოციაცია

მართავს დილას

ვაჟა-ფშაველას

გარდაცვალებიდან 20 წლის თავის აღსანიშნავათ.

დასაწყისი ნაშუადღევის 3 საათზე.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა და პოლიტიკა

ნორვეგიის მუშათა პარტია.

მგზავსათ სკანდინავიის ქვეყნების სხვა მუშათა პარტიებისა ნორვეგიის მუშათა პარტიას შეუძლია სიხარულით და სიამოვნებით აღნიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც ის მთავრობაში შევიდა და ძალაუფლების პასუხისმგებლობა გაიზიარა, მისი გავლენა და რიგები თანდათან იზრდება და ფართოვდება.

გასული წლის ნოემბერში პარტიის ნაციონალურ საბჭოს კრებაზე გენერალური მდივანი—დირენდალი აღნიშნავდა თავის მოხსენებაში, რომ მხოლოთ 1935 წლის განმავლობაში ნორვეგიაში დაარსებულ იქნა 104 ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია. ამას ემატება აგრეთვე ახალგაზდათა 115 ახლათ დაარსებული სექცია. ამ დროებით მთელ ნორვეგიაში 747 კომუნიდან 670 კომუნაში მუშათა პარტიას აქვს თავისი საკუთარი ორგანიზაციები.

1935 წლის დამდეგს პარტიაში ითვლებოდა 104.500 წევრი, მის დამლევს კი 120.000 წევრი. ეს პირველჯერ არის, რომ პარტიის წევრთა რიცხვი ამ დონეზე ავიდა.

ჩრდილო ქვეყნების მუშათა ორგანიზაციების კონფერენცია.

1932 წლიდან დაწყებული დანიის, შვეციის, ფინლანდიის და ისლანდიის სოციალდემოკრატიული პარტიები და პროფესიონალური ორგანიზაციები ყოველწლიურათ იკრიბებიან მორიგეობით ამ ქვეყნების მთავარ ქალაქებში, თათბირობენ და საერთო კომიტეტის საშუალებით მათი მუშაობის კოორდინაციას ახდენენ. მათ უკანასკნელ კრებას ქონდა ადგილი გასულ 7-8 დეკემბერს გელსინფორში. კრებას დაესწრო ყველა ზემოხსენებულ ორგანიზაციების წარმომადგენელნი, გარდა ისლანდიისა, აგრეთვე ნორვეგიის დელეგატები, რომელნიც, თუმცა ორგანიზაციულათ კომიტეტში არ შედიან, მაგრამ ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში რეგულიარულათ მუშაობაში მონაწილეობას იღებენ. კონფერენციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა იმ მხრივადაც, რომ მას დაესწრენ სკანდინავიის სამივე ქვეყნის მთავრობის თავმჯდომარეები—ჰანსონი (შვეცია), სტაუნინგი (დანია) და ნიუგარდსვოლდი (ნორვეგია). კონფერენციას თავმჯდომარეობდა ფინლიანდიის სეიმის დეპუტატი—ტანნერი.

პირველათ კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები სხვადასხვა ქვეყნებში მდგომარეობის შესახებ. დებატებში მთავარი ყურადღება ქონდა მიქცეული ჩრდილო ქვეყნების დამოკიდებულებას ერთა ლიგისადმი და მშვიდობიანობისათვის ბრძოლის საკითხს. კონფერენცია ერთხმად დაადგა იმ აზრს, რომ ჩრდილო ქვეყნებმა უნდა გააგრძელონ თავიანთი მუშაობა ერთა ლიგაში საერთაშორისო უფლებრივი წესრიგის დასამყარებლათ, ზავის და ყველა ერთა თავისუფლების დასაცავათ. ამ ქვეყნების მუშათა ორგანიზაციებმა გავლენა უნდა იქონიონ თავიანთ მთავრობებზე, რათა აიძულონ ესენი ენერგიული მონაწილეობა მიიღონ ზავის დასაცავათ წარმოებულ დადებით მუშაობაში.

კონფერენციაზე გაირჩა აგრეთვე საკითხი მუშათა სამუშაოს დროს შემოკლებისა. აღნიშნავდენ რა უმუშევრობის არსებობას, ყველა დელეგატები ხაზგასმით მოითხოვენ სამუშაო დროს შემცირებას და კვირეულათ მუშაობის 40 საათით განსაზღვრას.

განსაკუთრებული ყურადღება ქონდა მიქცეული მუშათა და გლეხთა შორის თანამშრომლობის პრობლემას. კონფერენცია დიდის კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ ზოგ ჩრდილო ქვეყნებში მშრომელ მოსახლეობის ამ ორ უმთავრეს ნაწილთა შორის უკვე შესაძლებელი გახდა დიდ და საჭირბოროტო საკითხებში დამყარებულიყო სრული შეთანხმება. ამის შედეგია ის, რომ სკანდინავიის ქვეყნებში დღეს არის გარანტია დემოკრატიის სიმტკიცისა და უკეთესი პერსპექტივები ეკონომიური და სოციალური განვითარებისა.

კონფერენციამ მსჯელობა იქონია აგრეთვე მომავალ, 1936 წლის, საპარლამენტო არჩევნების შესახებ, რომელსაც ადგილი ექნება ფინლიანდიაში, ნორვეგიაში, შვეციაში და ნაწილობრივათ დანიაში. ამნაირათ თითქმის ყველა ჩრდილო ქვეყნებში მუშათა პარტიებმა ერთდროულათ უნდა მოახდინონ თავიანთ ძალების მობილიზაცია სოციალდემოკრატიული გავლენის გასაძლიერებლათ, როგორც თავის საკუთარ ქვეყნებში, ისე საერთაშორისო პოლიტიკაზე.

სკანდინავიის ქვეყნების მუშათა მოძრაობა მთლიანათ სდგას დემოკრატიის ნიადაგზე. მთელი თავისი ძალღონით ის ცდილობს დაიცვას და გაამაგროს დემოკრატიული წყობილება. ის ერთსულოვანათ მიილტვის დემოკრატიული საშუალებებით დაამყაროს ისეთი საზოგადოება, სადაც აღარ იქნება სიღარიბე, გაბატონდება თავისუფლება და საზოგადოების ყველა წევრებს საშუალება მიეცემა დასტკბეს კულტურის ყოველგვარ შესაძლებლობით. ჩრდილო ქვეყნების მუშათა მოძრაობა ერთსულოვანათ მოწადინებულია აგრეთვე საერთაშორისო ასპარეზზე იმოღვაწეოს დემოკრატიულ საერთაშორისო თანამშრომლობის ნიადაგზე. კონფერენცია მოუწოდებს შვეციის, დანიის, ნორვეგიის და ფინლიანდიის სოციალდემოკრატიის მომხრეებს ენერგიული ბრძოლა გასწიონ სრული დემოკრატიის, თავისუფლების და ზავის დასამყარებლათ.

კოოპერატიული მოძრაობა ინგლისში.

ინგლისის კოოპერატიული მოძრაობა უძლიერესია მთელ მსოფლიოში. მისი წევრთა რიცხვი დღეს 7.202.000-მდე აღწევს და 1935 წლის განმავლობაში ინგლისის კოოპერატივებში 207.000.000 გირვანქა სტერლინგის, ან დაახლოვებით 15 მილიარდი ფრანკის საქონელი გაყიდულა. მათი კაპიტალი უდრის 159.000.000 გირვანქა სტერლინგს, ან 12 მილიარდ ფრანკს. მათ ყავს 200.000 მოსამსახურე თავიანთ მაღაზიებში და 84.000 მუშა საკუთარ ქარხნებში.

წინეთ ინგლისის კოოპერატივები პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებდენ და არც ერთ პოლიტიკურ პარტიას ოფიციალურათ არ ეკედლებოდენ. ისინი ნეიტრალები იყვნენ. დიდი ომის შემდეგ, 1918 წელში, მათ გადასწყვიტეს პარლამენტში ყოლოდათ თავისი საკუთარი წარმომადგენლობა, როგორც ძველათ ამას შვებოდენ ინგლისის ტრედ უნიონები. საპარლამენტო არჩევნებში კოოპერატივები გამოდიოდენ «კოოპერატიული პარტიის» სახელწოდებით და მხოლოთ თავიანთ კანდიდატებს აძლევდენ ხმებს.

გასულ ნოემბრის ინგლისის არჩევნებში «კოოპერატიულ პარტიამ» 20 საკუთარი კანდიდატი წამოაყენა, რომელნიც ამავე დროს იყვნენ კანდიდატები მუშათა პარტიისა. ეს უკანასკნელი მათ იცავდა და მხარს უჭერდა. გარდა ამ 20 ოლქისა, სადაც წამოყენებული იყო კოოპერატორების კანდიდატები, ყველა სხვა ოლქებში და ადგილებში კოოპერატიული საზოგადოებები ხმებს აძლევდენ მუშათა პარტიის კანდიდატებს და ებრძოდენ ბოლდვინ-მაკდონალდის მთავრობას.

კოოპერატივებმა გაიღეს აგრეთვე არჩევნებისათვის საჭირო ხარჯები.

ინგლისის კოოპერატიულ მოძრაობის ისტორიაში ეს პირველჯერ არის, რომ კოოპერატიული საზოგადოებები თავიანთ წევრებს ოფიციალურათ მანიფესტით მოუწოდებდენ ნეიტრალობა დაერღვიათ და ენერგიულათ ურჩევდენ მათ ხმები მიეცათ და გაემაგრებიათ მშრომელთა ინტერესების დამცველი ინგლისის მუშათა პარტია.

ქართული ოფისი

მისამართი:

38 rue Boileau. Hameau Boileau. მეტრო № 8: სადგურები Chardon Lagache ან Molitor.

ოფისი ღიაა ნაშუადღევის 3 დან 6 საათამდის.

განცხადება.

საგაზეთო წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს პარიზში შემდეგი მისამართით:

C. Gvardjaladzé

26, rue Lacretelle. Paris XV.

„ბრძოლის ხმის“ ექსპედიციისაგან

ხელის მომწერთ ვთხოვთ მათზე დარჩენილი გასული წლის გაზეთის ფული გაასწორონ მოკლე დროში.

—

«ბრძოლის ხმის» გამოწერა შეიძლება ამხ. პ. სარჯველაძესთან შემდეგი მისამართით:

M-r P. Sardjveladze

9, rue Seguier 9. Paris (6)

ბიანკურში

გაზეთი «ბრძოლის ხმა» იყიდება

დ. ჟორჟოლიანთან

93, Av. Ed. Vaillant, 93.

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-et-Oise.*

Le Gérant : René Toussaint.